# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 11 იანვარი, 2007 წელი.

№ 5 (5863)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## საარჩევნო პროცესი არ იწყება და არ სრულდება საარჩევნო დღით... 5




## საბჭოთა ჩვეულებებთან განშორების სიძნელეები 11

## უცხოელ დამკვირვებელთა უცხო დაუკვირვებლობის თაობაზე 3

## ზოგიერთის ხმა კი არ უნდა ითვლებოდეს, უნდა იწონებოდეს!



## მკვდრები და ცოცხლები - ერთად!.. 3

**◉ დღის ანეკდოტი**

საპრეზიდენტო არჩევნებზე ქუთაისის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში მისულმა ბიჭიკიამ სიაში გარდაცვლილი მეზობლის გვარი ამოიკითხა.

– კი მარა, ჭიჭიკია ამდენი ხნის მკვდარია და სიაში მის გვარს რა უნდა? – იკითხა გაბრაზებულმა.

– ჭირისუფალი ხმას არ იღებს და შენ რა ამბავში ხარ, შე კაცო! – შეუღრინა უბნის ხელმძღვანელმა.

## პატრიარქმა სულხან მოლაშვილი წმინდა ნიკოლოზს ჩააბარა 7

ღირდა კი პატარა ელენეს ცრემლებად „ტრანსფორმაციის ტკივილი?"





## ამ ვითარებიდან გამოსავალი მხოლოდ მეორე ტურის ჩატარებაა 7

# სახელმწიფო

ასეთი „ოპოზიციონერი“ სააკაშვილი ვარდების რევოლუციის შემდეგ ალარავის უნახავს.

თურმე რაც ხდებოდა, არაფერი არ იცოდა ბატონმა მიხეილმა (პრინციპში როგორ გაიგებდა, გაზეთებს ეგ არ კითხულობს, „რუსთავი 2-ის“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის „იმედით“ კი ჩემი მტერი იქნაძ

№ 5. პარასკევი, 11 იანვარი, 2008 წელი.

**ინფორმაცია**

## მართლა სუფევს ცესკოში ქაოსი და გაუგებრობა?

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრას დადებითად აფასებს.**

როგორც ლევან თარხნიშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, ცესკომ პასუხი გასცა ყველა შეკითხვას, მათ შორის ზოგიერთი ელჩის წუხილს გარკვეულ გაუგებრობებთან დაკავშირებით.

უცხოურმა ტელეკომპანიამ დაუსვა შეკითხვა ეუთოს წარმომადგენლის დიტერ ბოდენის ინტერვიუსთან დაკავშირებით, რომელიც ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში გამოქვეყნდა. ბოდენი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საქართველოს ცესკოში სუფევს ქაოსი და გაუგებრობა.

თარხნიშვილის თქმით კი, მისთვის უცნობია აღნიშნული ტექსტის შინაარსი და მასზე კომენტარს ვერ გააკეთებს. – მე ვიცნობ ეუთოს წარმომადგენელთა დასკვნას, რომელშიც მსგავსი არაფერია ნათქვამი, – აღნიშნა ცეკოს თავმჯდომარემ.



* * *

**ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების დათვლა დროულად უნდა დაასრულოს.**

ამის შესახებ საქართველოში გერმანიის სრულუფლებიანმა ელჩმა პატრისია ფლორმა ლევან თარხნიშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

–სასურველია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დროულად დაასრულოს ხმების დათვლის პროცესი. შეფასებები, თუ რამდენად გამჭვირვალედ მიმდინარეობდა დათვლის და დაჯამების პროცესები, ცესკომ უნდა გააკეთოს. ამ პროცესის სიზუსტე და გამჭვირვალობა არჩევნების შედეგებზეც აისახება, – აღნიშნა ელჩმა და დასძინა, რომ შეხვედრა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის სასარგებლო იყო.

მისივე თქმით, შეხვედრა იყო ტექნიკური ხასიათის და ელჩებს გააცნეს ის დეტალები, რომლებიც არჩევნების შემდგომ პერიოდს ახლავს თან.

– საერთო ჯამში, გამოიკვეთა ელჩების მოსაზრება, რომ არჩევნებმა საქართველოში დემოკრატიულად, გამჭვირვალე ვითარებაში ჩაიარა და ევროპული სტანდარტების დონეზე შედგა, – აღნიშნა ცესკოს თავმჯდომარემ.

რაც შეეხება ჟურნალისტების შეკითხვას ზოგიერთი ელჩის შენიშვნასთან დაკავშირებით, როგორც თარხნიშვილმა აღნიშნა, რთულია გააკეთოს შეფასება იმ კომენტარზე, რომელიც თავად არ მოუსმენია. – დიდი ალბათობაა, რომ ელჩების შენიშვნები არ ეხებოდა შეხვედრის თემატიკას, რადგან შეხვედრა მიმდინარეობდა მხოლოდ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, – განმარტა მან.

ამასთან, ლევან თარხნიშვილს ერთ-ერთმა

* * *

**საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩი დენის კიფი მიიჩნევს, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა დემოკრატიულ ვითარებაში ჩაიარა, მაგრამ შეკითხვები მაინც არსებობს.**

როგორც ელჩმა ცესკოს თავმჯდომარესთან ლევან თარხნიშვილთან შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, გარკვეული საკითხები აუცილებლად უნდა დაზუსტდეს.

– დღეს ელჩებმა მივიღეთ საჭირო ინფორმაცია. იმედი მაქვს, ცესკო კვლავ დემოკრატიის ფარგლებში განაგრძობს მოქმედებას, – აღნიშნა ბრიტანეთის ელჩმა.

**ინტერპრესნიუსი**



**ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?**

## „დამასკოს მისტერია“ „პრაიმ-ტაიმში“

### ანუ „ნურას უკაცრავად!“

**მკითხველთა უმრავლესობას ახსოვს, თუ როგორ აჩვენებდნენ კომუნისტურ ეპოქაში აღდგომის ღამეს ცნობილ უცხოურ ფილმებს. აჩვენებდნენ, რათა ხალხი ეკლესიებში არ წასულიყო. ასევე გამახსენდა, თუ როგორ აჩვენეს 1979 წელს მხატვრული ფილმი „ლედი კარატე“. მეორე დღეს ორმა ჩემმა კლასელმა ხელი იღრძო.**

8 იანვარს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გასულ თოკ-შოუში „პრაიმ-ტაიმი“ ინგა გრიგოლიას სტუმრად ჰყავდა პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი. 9 იანვარს მთელი ქალაქი ამ შოუზე ლაპარაკობდა (და ორმა ჩემმა ნაცნობმა ხელი იღრძო, ოღონდ ისინი მოყინულ გზაზე დაეცნენძ.

ასეთი „ოპოზიციონერი“ სააკაშვილი ვარდების რევოლუციის შემდეგ ალარავის უნახავს.

თურმე რაც ხდებოდა, არაფერი არ იცოდა ბატონმა მიხეილმა (პრინციპში როგორ გაიგებდა, გაზეთებს ეგ არ კითხულობს, „რუსთავი 2-ის“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის „იმედით“ კი ჩემი მტერი იქნაძ.

თქვენ წარმოიდგინეთ და, მთავრობას არ სცოდნია, რომ საქმე „ცოცხალ ადამიანებთან ჰქონდა“.

არ სცოდნია, რომ ადამიანს სახლში არ უნდა შეუვარდე და დაუნგრიო; არ სცოდნია, რომ ამდენი უმუშევარი და გაჭირვებული გვყოლია; არ სცოდნია, რომ ყურძნის ფასი ძალიან მცირეა.

საზოგადოებას ამ შოუს ნახვის შემდეგ რამდენიმე კითხვა გაუჩნდა:

1. რომელი ქვეყნის პრეზიდენტი ეგონა თავი მიხეილ სააკაშვილს 2003 –2007 წლებში? (კანადის, იაპონიის, თუ ზიმბაბვესი?ძ

2. თუ ეს ყველაფერი მთავრობამ მართლა არ იცოდა და ყველაფერ იმ საშინელებებს „ბრმად“ სჩადიოდა, რატომ არ ისჯება ის, ვინც ეს უცოდინარი და უსულგულო ხალხი თანამდებობებზე დანიშნა, დანიშნა და ქვეყნის, ხალხის ბედი ჩააბარა?

3. რატომ არ ისჯება ის ხალხი, ვინც ქვეყანა იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ საქართველო კიდევ ერთხელ აღმოჩნდა სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე?

ეს კითხვები რეალურ პასუხებს მოითხოვს და არა შოუებში გაკეთებულ პიარ განცხადებებს.

ისე, კარგი შოუ გამოუვიდა გრიგოლიას.

იხ. 4 გვ.

**ინციდენტი**

## რად შეურაცხყვეს არჩევნებზე ჟურნალისტი?



**როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან, სახალხო დამცველმა სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ ჟურნალისტის შეურაცხყოფის ფაქტის ამსახველი მასალა წინასწარი გამოძიების დასაწყებად საქართველოს გენერალურ პროკურორს და საქართველოს იუსტიციის მინისტრს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო ჯგუფის ხელმძღვანელს ეკა ტყეშელაშვილს გაუგზავნა.**

სახალხო დამცველს სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ გენერალურმა დირექტორმა რამაზ სამხარაძემ განცხადებით მიმართა. სამხარაძის განმარტებით, კომპანიის ჟურნალისტი ხათუნა გოგაშვილი თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა ლაგოდეხის №15 საარჩევნო ოლქის №19 საარჩევნო უბანზე, რომელიც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში მდებარეობს. სამხარაძე აღნიშნავს, რომ საარჩევნო უბანზე მოქალაქე ისაკო ცქიფურიშვილი მივიდა, რომელიც ამ უბნის ამომრჩეველი არ იყო და უბანზე ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონდა. ისაკო ცქიფურიშვილმა ხათუნა გოგაშვილს საუბრის აუდიო ჩანაწერისაგან თავის შეკავება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლის ხელყოფით დაემუქრა. ისაკო ცქიფურიშვილმა დიქტოფონი წაართვა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტს. ინციდენტის თვითმხილველებიც არსებობენ.

**ინტერპრესნიუსი**

**ოპოზიცია და ხელისუფლება**

## ვიცე-მერმა, რაც „იუპიტერს“ ეპატია, „ხარს“ არ ეპატიებაო!

**13 იანვარს დედაქალაქში ფართომასშტაბიანი მანიფესტაციის ჩატარების შესახებ გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნას თბილისის ვიცე-მერმა, მერიის ადმინისტრაციის უფროსმა მამუკა ახვლედიანმა უპასუხა.**

როგორც ახვლედიანის საპასუხო წერილშია აღნიშნული, „კონსერვატიული პარტიისა“ და „საქართველოს გზის“ ერთობლივ განცხადებაში, პრაქტიკულად, დაცულია კანონის მიერ მოთხოვნილი ნორმები, თუმცა მცირე ხარვეზები მაინც არსებობდა.

ვიცე-მერი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით მიუთითებს, თუ რა ადგილებშია დასაშვები მანიფესტაციის ჩატარება, ასევე, აქციის მონაწილეებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის დაცული უნდა იყოს გარკვეული პერიმეტრი.



წერილში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია, აქციის მონაწილეებმა განზრახ შეუქმნან დაბრკოლებები საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობას.

– აღნიშნული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, მანიფესტაცია კანონსაწინააღმდეგო ქმედებად იქნება მიჩნეული და გატარდება შესაბამისი ზომები, – აღნიშნულია ახვლედიანის წერილში.

სალომე ზურაბიშვილმა და ზვიად ძიძიგურმა მერიაში განაცხადი მანიფესტაციის ჩატარების შესახებ 8 იანვარს წარადგინეს. განაცხადში აღნიშნულია, რომ მანიფესტაციები 13 იანვრის 12 საათიდან 18 იანვრის 22 საათამდე გაიმართება. განაცხადში აღნიშნულია აქციის მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა – 100 000 ადამიანი.

**ინტერპრესნიუსი**

# ჭირი დანახული ჯობს

● არადა დამკვირვებელთა ქცევის კოდექსის თანახმად, ეს დამკვირვებლები ჯერაც ისევ აქ უნდა იყვნენ და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხმების თვლას უნდა ესწრებოდნენ...




◎ გუშინდელი ფოსტიდან

## უცხოელ დამკვირვებელთა უცხო დაუკვირვებლობის თაობაზე

არცოდნა რომ ყოველთვის არცოდვა არ არის, ამაში ერთხელ კიდევ დამარწმუნა პროფესორ ბიძინა სავანელის ფრიად და ფრიად საყურადღებო მასალამ („თუ დემოკრატიაა, დემოკრატია იყოს!..“ძ, რომელიც თქვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა და იანვრის ჩვენი საპრეზიდენტო არჩევნების დროს „საერთაშორისო დამკვირვებელთათვის ეუთოს ქცევის კოდექსით“ დაკისრებული მოვალეობის შესრულება-არშესრულებას ეხება.

ჩემსავით, ალბათ, ძალიან ბევრმა კი არა, იქნებ არც არავინ არ იცოდა, რომ არსებობდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის 1999 წლის 21 აპრილის დამკვირვებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც საერთაშორისო დამკვირვებლებს აკისრებს ზუსტად განსაზღვრულ მოვალეობებს თითოეული ადამიანის



საარჩევნო უფლების უზრუნველყოფის მიზნით.

ჩვენი ხელისუფლება და, კერძოდ, პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი, ხშირად შეგვახსენებდნენ, და თავმოწონებითაც კი, რომ ჩვენს ამჟამინდელ საპრეზიდენტო არჩევნებს თითქმის ათასზე მეტი საერთაშორისო დამკვირვებელი ესწრებოდა, რაც თავისთავად არჩევნების გაუყალბებლობის საწინდარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა. ვინც ზემოხსენებულ დამკვირვებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნებს გაეცნო, უთუოდ დამეთანხმება, რომ ჩვენს არჩევნებზე ჩამოსული თითქმის ათასივე დამკვირვებელი საბოლოო ანგარიშით ამერიკიდან თუ ევროპიდან უფრო „ჰაერის გამოსაცვლელად“ და არჩევნების გაყალბებისთვის მხარდასაჭერად გვესტუმრა, ვიდრე სამართლიანი არჩევნებისა და, აქედან გამომდინარე, დემოკრატიის დასაცავად.

ასე რომ, ის ზერელე შეფასება, რაც იმათ მხოლოდ აშკარად საეჭვო ეგზიტპოლების შედეგებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამ შედეგებზე აგებული ასეთივე საეჭვო წინასწარი მონაცემების მიხედვით მიაწოდეს საარჩევნო ორომტრიალით გაოგნებულ საზოგადოებას, ვერ ჩაითვლება მიუკერძოებელ სრულყოფილ შეფასებად. თუ ზემოხსენებული კოდექსის თანახმად ვიმსჯელებთ, ამ ეგრეთ წოდებულმა საერთაშორისო დამკვირვებლებმა ვერ (უფრო სწორად, არძ შეასრულეს დაკისრებული ვალდებულებები (თითქმის ორმოცამდეძ, ანუ თავიანთი უმოქმედობით ხელი შეუწყვეს არჩევნების გაყალბებას და შესაძლებელ მასობრივ არეულობას, რაც თავის მხრივ ახალი დანაშაულისთვის სისხლის დანაშაულის პასუხისმგებლობას აკისრებს და, როგორც ბატონი პროფესორი ბრძანებს, ისინი უნდა დაისაჯონ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164 ტერციუმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს 2 წლით თავისუფლების აღკვეთას, რადგან ამ ჩვენს „დაუკვირვებელ დამკვირვებლებს“ დიპლომატიური იმუნიტეტი არ იცავს.

ჩვენ კი ვდგავართ და გავყვირით, ამერიკამაც და ევროპამაც ჩვენი საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად ცნოო. ეს მაშინ, როცა თვითონ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა არჩევნებს გაყალბებულად მიიჩნევს.

ჩემი ამ ნათქვამის დასტურად გამოდგება თუნდაც თქვენი გაზეთის გუშინდელსავე ნომერში დაბეჭდილი ნამდვილად შემაშფოთებელი წერილი გორის რაიონის სოფელ საქაშეთიდან – „ყოჩაღი“ ძალოვანები, დაწიოკებული კომისიის წევრები, ტუალეტში შერეკილი ქალები და... სააკაშვილისთვის დამატებული სამასი ხმა“.

ასე იყო არა მარტო საქაშეთში, არამედ საქართველოს თითქმის ყველა დიდსა თუ პატარა სოფელში. სრულიად საქართველოში კი რამდენიმე ათასი სოფელია. ახლა ადექით და გადაამრავლეთ ეს ათასობით სოფელი ასევე ათასობით დამატებულ ხმაზე... და ამის შემდეგ განა მართლაც ძალიან დიდი სირცხვილი არ არის რაიმე სამართლიანობაზე ლაპარაკი?! თანაც, თუ ეგრეთ წოდებული საერთაშორისო დამკვირვებლებიც საეჭვოდ თვალებდახუჭულნი გიჭერენ მხარს... ამ დიდ უსამართლობაში. არადა დამკვირვებელთა ქცევის კოდექსის თანახმად, ეს დამკვირვებლები ჯერაც ისევ აქ უნდა იყვნენ და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხმების თვლას უნდა ესწრებოდნენ... იმათ კი უკვე არჩევნების დამთავრების მეორე დღესვე ხელი დაგვიქნიეს და „ო' ქეი“ გვითხრეს.

მე, უწინარესად, საქართველოს მხარდამჭერი ვარ და არა რომელიმე ცალკე კანდიდატისა. მხარდამჭერი ვარ ნამდვილად დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოსი და გული მტკივა, რომ 5 იანვრის ჩვენს საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთის აშკარად კლონირებული „გამარჯვება“ მოხდა. კლონირებული ცხვრის მწვადს იქნებ რამე გემოც ჰქონდეს, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმომიდგენია ხალხის საწინააღმდეგოდ აგრესიულად მორჩილი „უმრავლესობის“ ძალისხმევით კლონირებული პრეზიდენტი...

**გივი გოგორიშვილი,**
გორის რაიონიდან

## ზოგიერთის ხმა კი არ უნდა ითვლებოდეს, უნდა იწონებოდეს!

– თუ მასე ვიტყვით, მაშინ მე სამეგრელოს პრეზიდენტიც ვარ, გურიისაც, იმერეთისაც და სხვა კუთხეებისაცო, – დაახლოებით ასე უპასუხა მიხეილ სააკაშვილმა ინგა გრიგოლიას, როდესაც ამ უკანასკნელმა უთხრა, – რაკი თბილისში და მის ცენტრშიც დამარცხდით, ბევრი მხოლოდ მარნეულისა და შულავერის პრეზიდენტად გთვლითო.

სხვა საკითხია, რამდენად საფუძვლიანად ახსნა სააკაშვილმა თბილისის ცენტრში თავისი დამარცხება (თურმე, ნუ იტყვით და, ამის მთავარი მიზეზი მხოლოდ ის ყოფილა, რომ ქალაქის ცენტრში ხალხს მიშენებული ლოჯიები და გარაჟები დაუნგრიეს, თორემ ადამიანებს, უკაცრავად პასუხია და, გამუდმებით და გამიზნულად სულში რომ აფურთხებდნენ მისი „ერთი გუნდის“ წევრები მისივე თავკაცობით, ეს არაფერი ყოფილა!ძ, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: მე რომ კაცმა მკითხოს, თუ რეალური სურათის რეალურად დანახვა გვსურს, არჩევნებისას ზოგიერთის ხმა კი არ უნდა ითვლებოდეს, უნდა იწონებოდეს.

წურვინ მიწყენს წურც მარნეულში, წურც ზუგდიდში, წალკასა თუ საქართველოს სხვა პერიფერიულ ნაწილებშიც, სადაც ძალიან ბევრი განათლებული და სახელოვანი ადამიანი ცხოვრობს და საქმიანობს, მაგრამ თბილისში, განსაკუთრებით კი მის ცენტრში, ასეთთა რაოდენობა რომ განუზომლად მეტია, ფაქტია.

ამიტომ, როდესაც ასეთი ადამიანები დაიწუნებენ შენს მუშაობასა თუ პიროვნულ თვისებებს, ესე იგი, სულაც არ ყოფილხარ და არც ხარ ისეთი კარგი ხელმძღვანელი, როგორიც შენ გეგონა და შენნაირებსაც ეგონათ.

ამიტომ ეს ძალიან მრავლისმეტყველი რამ არის, ბატონო მიხეილ, ისეთი მრავლისმეტყველი, რომელსაც ვერანაირი პროცენტული მონაცემებით ვერ განსაზღვრავ და შეაფასებ.

ან რეალურად გინდათ კი (სხვა საკითხია, შეგიძლიათ თუ არა, ან, რომც შეგეძლოთ, შეგაძლებინებენ, ანუ გაგაკეთებინებენ თუ არა ამას თქვენივე გარემოცვის ოდიოზური წევრები!ძ აქედან სათანადო დასკვნების გაკეთება?

რატომღაც (თქვენი ადრინდელი ნამოქმედარის გათვალისწინებითძ მგონია, რომ უბრალოდ ახლა, ვიდრე საკუთარი ჯერ ბოლომდე ვერ გაგიტანიათ და ცესკოს ოფიციალურად არ ულიარებიხართ არჩევნებში გამარჯვებულად, თამაშობთ იმ კაცის როლს, რომელიც მიხვდა საკუთარ შეცდომებს და მათ უთუოდ გამოასწორებს.

ღმერთმაც ქნას, მაგრამ რომ არ მჯერა?

თანაც მარტო მე რომ არა ვარ ასეთი?

**გიორგი ჩარქსელიანი,**
თბილისელი პედაგოგი

№ 5. პარასკევი, 11 იანვარი, 2008 წელი.

## მკვდრები და ცოცხლები - ერთად!..

ძვირფასო რედაქცია! – იქნებ გამაგებინოთ რა ესაქმება (ესაქმებოდა!ძ გიგი თევზაძის, დავით პაიჭაძის, პაატა ვეშაპიძის, ეკა კვესიტაძის და სხვა რექტორ-დირექტორ-ჟურნალისტთა მედიასაბჭოს, აგრეთვე, ტელეკომპანიების „რუსთავი-2“-ის, „მზის“, ვითომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიკერძოებულ პერსონებს ქართველი ხალხის სამართლიან არჩევნებთან?

*ვერაფრით წარმოვიდგენდი სამი გაერთიანებული უმაღლესი სასწავლებლის ახლად დანიშნული რექტორი, ზედმეტად მრუმე გამომეტყველების გიგი თევზაძე ასე კალმახივით მოქნილი და მოცლილი იქნებოდა და საარჩევნო მარათონის ძვირითს საკუთარი მხარდამჭერების წყალობით, ენგურის, რიონის, მტკვრის, არაგვის თუ ალაზნის ხეობებში ასე უთავბოლოდ მიმოაბნევდა... ძვირითი ნაადრევად დაიშალა და ლიფსიტები მკვდრადშობილი მოგვევლინნენ...*

*საარჩევნო სიებში იმდენი მიცვალებული, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი შეიტანეს, საარჩევნო უბნებში ცოცხლების გამოცხადება არც იყო საჭირო... ეს ბევრგან ასეც მოხდა. თბილისის ცენტრში, ბროსეს ქუჩაზე, ოცდამეცამეტე საარჩევნო უბანში, 1700 კაცის ნაცვლად, მხოლოდ 230 ამომრჩეველი გამოცხადდა. მათმა უმრავლესობამ, როგორც თბილისის სხვა უბნებში, ოპოზიციის კანდიდატებს მისცა ხმა.*



*ამ დროს „მედიასაბჭოს“ ერთ-ერთი „მწუხარე სახის რაინდი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ხელმძღვანელი დავით პაიჭაძე ოლიმპიური სიმშვიდით აცხადებს ეგზიტპოლის პირველ შედეგებს და... ერთ-ერთ კანდიდატს მიხეილ სააკაშვილს 52,5 პროცენტს ანიჭებს...*

*თუმცაღა, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ეგზიტპოლების გამოცხადებამდეც დაიწყეს დიდი ზეიმი, დროშების ფრიალი და ბაქიბუქი.*

*ძვირფასო რედაქცია! – თქვენი ზოგიერთი კოლეგის, განსაკუთრებით ელექტრონული მედიის წარმომადგენლის საქციელმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჟურნალისტიკა მართლაც მეორე უძველესი პროფესია ყოფილა.*

*საიდან ასეთი ტენდენციურობა, სიყალბე, პატიოსანი ამომრჩევლის სიტყვითმკვლელობის მცდელობა?*

*საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, მის ერთგულ ჟურნალისტებს ჩვენ მართლა ბანანის რესპუბლიკა ხომ არ ვგონივართ?!*

**ლადო გაბიჩვაძე,**
ძველი თბილისის რაიონის ამომრჩეველი

# დღეს

● მიხეილ სააკაშვილმა ყველაზე უკეთ იცის 5 იანვრის არჩევნების შედეგები, იცის სახელმწიფო ხაზინის დღევანდელი მდგომარეობა, იცის მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო შედეგიც და აქედან გამომდინარე, ცდილობს ხალხის აპოლიტიკური ნაწილის თავისკენ შემობრუნებას

◉ ინფორმაცია

## აკი ოპონენტებს არ ვერჩითო?



საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

როგორც გენპროკურატურის საიტი იუწყება, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სააქციო საზოგადოება „სტანდარტ ბანკში" დაყადაღებულია არკადი პატარკაციშვილის პირადი საბანკო ანგარიში.

– ვინაიდან არკადი პატარკაციშვილი არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, დადგენილების გამოტანის თაობაზე ეცნობება მისი ოჯახის წარმომადგენელს, რომელსაც ასევე განემარტება, რომ არკადი პატარკაციშვილი მისთვის ბრალდების წარსადგენად უნდა გამოცხადდეს პროკურატურაში, – აღნიშნულია განცხადებაში.

პატარკაციშვილს ბრალი ედება ტერორისტული აქტის მომზადებაში, პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმასა და სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების მომზადებაში.

* * *



პრეზიდენტობის კანდიდატის არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის ადვოკატის შალვა შავგულიძის განცხადებით, პატარკაციშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით მიცემის თაობაზე გენერალური პროკურატურიდან არანაირი შეტყობინება არ მიუღია.

როგორც შალვა შავგულიძემ განაცხადა, პატარკაციშვილის სამართლებრივი საპროცესო სტატუსის შეტყობინების მოთხოვნით მან გენპროკურატურას უკვე ორჯერ მიმართა, თუმცა პასუხი არ მიუღია.

– პატარკაციშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ოფიციალური შეტყობინება უნდა მიგვეღო, მაგრამ ამ ფაქტის შესახებ ინტერნეტის საშუალებით შევიტყვე. პროკურატურას კიდევ ერთხელ მივმართავ განცხადებით, რომ შესაბამისი დადგენილება გადმომეცეს, რათა დაცვის განხორციელება შევძლო, – აღნიშნა ადვოკატმა.

მისივე თქმით, დაცვის მხარე საქმის მასალებსაც მოითხოვს, რათა დაცვის პოზიციის შემუშავება შეძლოს.

* * *

ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბში პროკურატურის განცხადებასთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გაკეთდა.



როგორც საარჩევნო შტაბის წარმომადგენელმა გოჩა ჯოჯუამ განაცხადა, ეს არის პოლიტიკური ლიკვიდაცია იმ ჯგუფისა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ ძალიან სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევს.

– მიხეილ სააკაშვილმა ზუსტად იცის, რომ მისი ყველაზე დიდი და რეალური კონკურენტი ბადრი პატარკაციშვილია, ვინაიდან მას აქვს სერიოზული რესურსი. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოდის საპარლამენტო არჩევნები, სადაც პატარკაციშვილის რესურსი და ეს პოლიტიკური ჯგუფი, შეიძლება, სერიოზულ კონკურენტუნარიან ძალად იქცეს, რაც მიხეილ სააკაშვილის ინტერესებში არ შედის, – მიიჩნევს ჯოჯუა.

მისივე თქმით, პროკურატურის აგრესია მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ბადრი პატარკაციშვილმა უარი განაცხადა ტელეკომპანია „იმედის" დათმობაზე.

მან ასევე აღნიშნა, რომ პატარკაციშვილის საარჩევნო ფონდი დღემდე დალუქულია.

* * *

ბადრი პატარკაციშვილის და, პარლამენტარი მზია თორთლაძე საქართველოს პროკურატურის მიერ პატარკაციშვილისთვის წაყენებულ ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და ხელისუფლებისგან მისი ძმის წინააღმდეგ სხვა უკანონო ქმედებებსაც არ გამორიცხავს.

მზია თორთლაძე პროკურატურის ქმედებას, მათ შორის სააქციო საზოგადოება „სტანდარტბანკში" ანგარიშის დაყადაღებას, ამავე ბანკში პატარკაციშვილის ანგარიშზე თანხების გადარიცხვას უკავშირებს.

– ამ თანხებით საარჩევნო შტაბის სახელფასო დავალიანება უნდა დაგვეფარა, – აღნიშნა პარლამენტარმა საუბრისას.

მისივე თქმით, ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ბადრი პატარკაციშვილი ტერორისტი არ არის.

როგორც თორთლაძე აცხადებს, ბიზნესმენ პატარკაციშვილის ირგვლივ მოვლენები ისე ვითარდება, რომ გამორიცხული არ არის, პატარკაციშვილის სხვა უძრავი ქონების დაყადაღებაც მოხდეს.

* * *

ბადარი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის წევრი, მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი საქართველოს პროკურატურის მიერ არკადი (ბადრი) პატარკაციშვილისთვის წაყენებულ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს და ხელისუფლებისგან ჩეჩენი ქილერის მონაწილეობით პატარკაციშვილის წინააღმდეგ დაგეგმილი მკვლელობის გამოძიებას მოითხოვს.

– პირადად მე ბიზნესმენ პატარკაციშვილის ტერორისტობის არ მჯერა და მიმაჩნია, რომ ხელისუფლებას სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ტელევიზიით ნაჩვენები ფარული ჩანაწერის ექსპერტიზა უნდა ჩაეტარებინა, – აღნიშნა გაფრინდაშვილმა.

იგი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, თუ რატომ არ აღძრა აქამდე საქართველოს პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე იმ ბრალდებებზე, რომლებიც მათ ბიზნესმენმა პატარკაციშვილმა წაუყენა. გაფრინდაშვილი იხსენებს, რომ ამ ბრალდების თანახმად, ერთ-ერთ ჩეჩენ საველე მეთაურს ბიზნესმენის მკვლელობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანმა, მეტსახელად „მასტერამ", პოლკოვნიკმა გია დგებუაძემ დაუკვეთა.

ინტერპრესნიუსი

◉ ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან!

## „დამასკოს მისტერია" „პრაიმ-ტაიმში"

(მეორე გვერდიდან)

ერთი პიროვნება გულის კუნჭულში მართლაც გაჩნდა პატარა ნაპერწკალი, რომ ყველაფერი შეიძლება გამოსწორდეს (მეც ერთი რიგითი, გულუბრყვილო ქართველი ვარძ, მაგრამ როგორც კი 9 იანვარს ბენდუქიძე გამოჩნდა ტელეეკრანზე და განაცხადა, რომ „ის ეკონომიკური ნაბიჯი, რომელიც გადასახადების შემცირებას ითვალისწინებს, ერთი წლის შემდეგ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს შეამცირებსო", მაშინვე „ერთი ძილა ერბოს" ზღაპარი გამახსენდა (ამ შემთხვევაში ის ერბოიანი ძილა ბენდუქიძემ დაამსხვრიაძ.

არა, ეს სულ სხვა სააკაშვილი იყო. არც ერთი „ნურას უკაცრავად", არც ერთი თითის დაქნევა, არც ერთი „ის აჩმახებს". „აჩმახებს და ჩარეცხილი" კი არა და, თურმე ოპოზიციაში ნიჭიერი და მცოდნე ადამიანებიც ყოფილან, რომელთა ჩართვა 50-დღიანი ეკონომიკური „ნახტომის" მოსამზადებელ პროგრამაშიც ყოფილა სასურველი.

რუსეთთანაც შესაძლებელი ყოფილა ურთიერთობების დალაგება და ყველაფრის ნულიდან დაწყება (აქ კი სტილი ოდნავ მეცნო. როგორც „ვიცით", საქართველომ არსებობა 2003 წელს დაიწყო, ამიტომ რუსეთიც ახლა უნდა აღმოვაჩინოთ და ურთიერთობაც 2008 წლიდან უნდა დავამყაროთძ.

ეგ კი არადა, გიგა ბოკერიასაც შემოსწყრა („თხლად", მაგრამ მაინც შემოსწყრაძ.

მაინც რა მოხდა სინამდვილეში?

ნუთუ დამასკოს სახარებისეული მისტერია თბილისში განმეორდა და „სავლე იქცა პავლედ"? ვთქვათ და სააკაშვილმა მართლაც გადაწყვიტა ყველა იმ ცვლილების განხორციელება, რასაც დაგვპირდა. მაშინ ერთი წამით წარმოვიდგინოთ, თუ როგორ დაჯუფებულან ნახევარწრედ სააკაშვილი, გურგენიძე, რამდენიმე მინისტრი ოპოზიციური პარტიებიდან და, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები. მათს წინ დგას თავდახრილი ბენდუქიძე და სააკაშვილი მიმართავს გურგენიძეს: შეხედე, ლადო, ეს კაცი არის რამეს გამკეთებელი? ამას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება? ახლავე გააგდეთ სამსახურიდან (გაგახსენდათ სცენა საბაჟო დეპარტამენტის საკადრო დარბევიდან?).

როგორია? ხომ კარგია.

გჯერათ? არც მე მჯერა.

აბა მართლა რა ხდება?

არაფერი ისეთი. უბრალოდ მიხეილ სააკაშვილმა ყველაზე უკეთ იცის 5 იანვრის არჩევნების შედეგები, იცის სახელმწიფო ხაზინის დღევანდელი მდგომარეობა, იცის მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო შედეგიც და აქედან გამომდინარე, ცდილობს ხალხის აპოლიტიკური ნაწილის თავისკენ შემობრუნებას.

როგორც ერთი ყოფილი პრეზიდენტი ამბობდა: „ნურას უკაცრავად!"

მოკლედ რომ ვთქვა, მაგარი შოუ გამოუვიდა ინგას.

რას შვება ამ დროს ოპოზიცია?

ოპოზიციის ნაწილი აგრძელებს ბრძოლას მოპარული თუ წართმეული ხმების დასაბრუნებლად. ნაწილი კი „პრაიმ-ტაიმში" დაპირებულ სავარძლებს იზომებს.

ძალიან ძნელია ბრძოლა წართმეულის დასაბრუნებლად. ძნელია დღევანდელი სასამართლოს ხელში. ძნელია დღევანდელი ტელევიზიების ხელში.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლება საკმაოდ „შეფუცხუნებულია", სასამართლო და ტელევიზიები ჩვეულ „სტილში" აგრძელებენ „მუშაობას".

5 იანვარს დააკავეს პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის" ლიდერის ჯონდი ბაღათურიას ძმა ბოჩია ბაღათურია. ის დააკავეს არჩევნების დღეს ე.წ. „კარუსელის" აღკვეთის მცდელობის დროს. სამართალდამცავებმა, იმის ნაცვლად, რომ ყალბისმქმნელი „მეკარუსელე" დაეკავებინათ, ბოჩია ბაღათურიას წაუყენეს ყოვლად უაზრო და თითიდან გამოწოვილი ბრალდება. „მეკარუსელეების" დამცველებს თუ ჰგონიათ, რომ ჯონდი ბაღათურია შეშინდება და ბრძოლას შეწყვეტს, შემიძლია დავარწმუნო, რომ ისინი შეცდნენ (გაზეთის გამოსვლამდე შევიტყვეთ, რომ ბოჩია ბაღათურია გაათავისუფლეს. არა, ნამდვილად რაღაც ხდება ამ ქვეყანაში).

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციას აქვს არჩევნების გაყალბების უამრავი ფაქტი და ამ ფაქტებს სასამართლოში წარადგენენ ისეთი გამოცდილი იურისტები, როგორებიც თინა ხიდაშელი და კახა კუკავა არიან, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე „თამამად" აცხადებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები შედეგებზე ძირეულ გავლენას ვერ იქონიებს.

რაც შეეხება ტელევიზიებს.

„რუსთავი 2"-ის და „მზის" „სტილი" აბსოლუტურად გასაგებია, მათ „დოლიც თავისი აქვთ და გარმონიც", მაგრამ რომ გითხრათ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" პოზიციამ გამაკვირვა და მათქმევინა „ეს რა მოუვიდა ამ ხალხსო", ნამდვილად არ ვიქნები მართალი. 2003 წლის შემდეგ, როდის ყოფილა, რომ ამ არხს რაიმე „ისეთი" ეთქვას. ის კი არა და, ამ არხს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე საინფორმაციო გამოშვება თუ ჰქონდა, თბილისში ერთი-ორი კაცის მეტმა არ იცოდა.

ამ ტელევიზიებმა პოსტ-არჩევნების პერიოდის გაშუქების საკმაოდ საინტერესო მეთოდი აირჩიეს. ისინი ყველაფერს აშუქებენ, ოღონდ ერთი მეტად ეშმაკური მეთოდით. მათ ოპოზიციის წარმომადგენლები გამოჰყავთ, როგორც უცხოელი დამკვირვებლების მიერ ნაღიარებ „დემოკრატიულ საქართველოში", „დესტაბილიზაციის ჩამომგდებნი".

ორი მარტივი მაგალითი:

1. ლევან გაჩეჩილაძემ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს მიუტანა ოქმების გაყალბებების დოკუმენტური მასალა. ტელეკომპანიებმა საინფორმაციო გამოშვებებში თქვეს, რომ „ლევან გაჩეჩილაძე თავის გუნდთან ერთად მიუვარდა ცესკოს თავმჯდომარეს".

2. „საზოგადოებრივი მაუწყებლისგან" ლევან გაჩეჩილაძემ მოითხოვა მოვლენების ობიექტური გაშუქება და პირდაპირი ეთერი, რათა მიემართა საქართველოს მოსახლეობისთვის.

ეს მოვლენაც „მივარდნის" სტილში გაშუქდა.

ჩემთვის გასაგებია, რომ „რუსთავი 2"-ს და „მზეს" ჰყავთ დამოუკიდებელი მფლობელები და ამ არხების პოლიტიკა მათს ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს (მიუხედავად რაღაც „მედია საბჭოს" რაღაც „რეკომენდაციებისა"ძ, მაგრამ „საზოგადოებრივი მაუწყებელი", რომლის მფლობელიც საქართველოს მოსახლეობაა, ელემენტარულად ვალდებულია თავის „მფლობელს" მიაწოდოს პირუთვნელი და მისთვის საინტერესო ინფორმაცია (რომ აღარაფერი ვთქვა საკმაოდ დიდი თანხებით დაფინანსებულ ყოვლად უაზრო გადაცემებზეძ.

გაჩეჩილაძის მოთხოვნების ასეთი ფორმით გაშუქება „პრაიმ-ტაიმის" „სტაბილური და იმედიანი მომავლის შემცველი" შოუს ფონზე გარკვეული და მიზანმიმართული დატვირთვის მატარებელია.

ამ მცირე მიმოხილვის შემდეგ მინდა გავიმეორო ასე „მონატრებული" სიტყვები: „ნურას უკაცრავად". ეგრე აღარ იქნება, ნებისმიერ შემთხვევაში ბევრი რამ შეიცვლება, ძალიან ბევრი რამ (როგორც მთავრობაში, ასევე სასამართლოშიც და ტელევიზიებშიცძ.

რა მაგის პასუხია და პრეზიდენტობის კანდიდატთა პროცენტებმა კიდევ ერთი მიმართულებით დამაფიქრა: ლევან გაჩეჩილაძის (ამ შემთხვევაში „საერთო-სახალხო მოძრაობა"ძ და მიხეილ სააკაშვილის (ამ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობა"ძ, გარდა, ვერც ერთმა კანდიდატმა 7-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა (არადა წინ საპარლამენტო არჩევნებიაძ.

წერილი მინდა დავამთავრო „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" დასაწყისის მცირე ინტერპრეტაციით: „აჩრდილი დადის საქართველოში. აჩრდილი... ოღონდ, ჯერ არ გარკვეულა კომუნიზმის, დიქტატურის თუ დემოკრატიისა".

გია გაბრიჭიძე

**აქციაზე პედაგოგებმა პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილიც გამოთქვეს და წერილობით მიმართეს პრეზიდენტის ადმინისტრაციას. საპროტესტო აქციას სახელმწიფო კანცელარიიდან არავინ გამოხმაურებია. ხელისუფლების მხრიდან უპასუხოდ დარჩა ერთი წლის წინათ მასწავლებლების მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით შეგროვებული და გრძლად აკინძული 400-მეტრიანი წერილობითი აპელაციაც, რომელშიც მასწავლებელთა პრობლემები იყო ჩამოწერილი**



## ინფორმაცია

### რამდენიმე საარჩევნო უბნის შედეგები გაუქმდა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, 4 საარჩევნო უბანზე კენჭისყრის შედეგები ბათილად გამოცხადდა. სპეციალური განკარგულება ცესკომ 9 იანვარს, დღის ბოლოს გამართულ სხდომაზე გამოსცა.

კენჭისყრის შედეგები ანულირებულია თელავის საარჩევნო ოლქის 1 უბანზე. პირი, რომელმაც აღნიშნულ უბანზე საარჩევნო ურნაში ზედმეტი ბიულეტენები ჩაყარა, ამჟამად დაკავებულია. არჩევნების შედეგები გაუქმდა წალკაშიც, სადაც 22 საარჩევნო უბანზე კენჭისყრისას ამომრჩევლებზე ზეწოლა დაფიქსირდა. ასევე მესტიის საარჩევნო ოლქის 38 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრებმა დაკარგეს დასკვნითი ოქმი, რომელიც მხოლოდ მომდევნო დღეს იპოვეს. კენჭისყრის შედეგები ანულირებულია საბურთალოს საარჩევნო ოლქის 1 უბანზეც, სადაც დაიკარგა საარჩევნო დოკუმენტაცია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გენპროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით უკვე მიმართა.

ჯი-ეიჩ-ენი

### ვის ინაუგურაციაზე ჩამოვა ტიმოშენკო?

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციაზე უკრაინულ დელეგაციას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო უხელმძღვანელებს.

უკრაინის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელშიც ტიმოშენკოს უკრაინული დელეგაციის შემადგენლობის განსაზღვრა დაევალა.

მიხეილ სააკაშვილმა ვიქტორ იუშჩენკო და იულია ტიმოშენკო ინაუგურაციაზე უკვე დაპატიჟა, ხოლო ტიმოშენკოსთან სატელეფონო საუბარში კი ინაუგურაციის თარიღიც დაასახელა – 20 იანვარი.

### ტეფტი კი არის კმაყოფილი, მაგრამ ხალხი?

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამართული შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა.

– ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, რის გამოც კმაყოფილებას გამოვთქვამთ, – აღნიშნა მან.

მისივე თქმით, არსებობს მცირე უზუსტობები, რომელთა გარკვევითაც ვაშინგტონიც დაინტერესებულია.

– აღნიშნული უზუსტობები უნდა გასწორდეს სასამართლოს წესით და დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, – მიიჩნევს აშშ-ის ელჩი.

ამასთან, არჩევნების მეორე ტურის შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით, რასაც ოპოზიცია მოითხოვს, ტეფტმა კომენტარისგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება არ სურს.

ინტერპრესნიუსი

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“

# საარჩევნო პროცესი არ იწყება და არ სრულდება საარჩევნო დღით...

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ეს რეფორმა დადებითად შეაფასა, რადგან დახმარებები უფრო სამართლიანად, რეალური საჭიროების გათვალისწინებით გადანაწილდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გარკვეული სოციალური ჯგუფებისთვის (მათ შორის, ომის ვეტერანებისთვის) სახელმწიფოს დახმარებას უფრო მათი დამსახურების აღიარების დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე სოციალური პრობლემების მოგვარებაში ხელშეწყობის. მიუხედავად ამისა, 2005-2006 წლებში ხელისუფლებას მკაცრი პოზიცია ეკავა, რათა შეზღუდული საბიუჯეტო სახსრები ყველაზე გაჭირვებულ ფენებზე არ გადანაწილებულიყო და მაქსიმალურად შეზღუდულიყო სახელმწიფო სახსრების დახარჯვა იმ პირებზე, რომელთაც ამის რეალური საჭიროება არ ჰქონდათ.

ამ პოლიტიკისგან მკვეთრად განსხვავდება ხელისუფლების მიერ ბოლო კვირების განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც პენსიონერებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, უსინათლოთათვის და პედაგოგებისთვის ვაუჩერების, ტრანსპორტზე შეღავათებისა და სხვა სახის დახმარებების გაწევას შეეხება. ბუნებრივი გაზის, ელექტროენერგიის, შეშის ვაუჩერები და ფქვილი რეგიონებში მცხოვრები ოჯახებისთვის ყოფილი პრეზიდენტის და, შემდგომ, პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, 2007 წლის ნოემბერ-დეკემბერში მთელ საქართველოში: ყველა ოჯახს (გარდა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში მცხოვრები ოჯახებისა) დაურიგდა 5 კუბური მეტრი სათბობი შეშით სარგებლობის ერთჯერადი ვაუჩერი (სულ 900 000-მდე ოჯახი), რომლით სარგებლობაც 2012 წლამდეა შესაძლებელი; რეგიონებში მცხოვრებ ყველა ოჯახს (გარდა რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში მცხოვრები ოჯახებისა) „საპრეზიდენტო სუბსიდიის“ პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ დაურიგდა 50 კილოგრამი ფქვილი; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებს, პენსიონერებს და პედაგოგებს დაურიგდათ 50-ლარიანი ელექტროენერგიის ვაუჩერი (სულ პროგრამაში მონაწილეობს დაახლოებით 70 000 პედაგოგი, 400 000 სოციალურად დაუცველი პირი და 850 000 პენსიონერი); ქალაქებში მცხოვრებ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებს, პენსიონერებს და პედაგოგებს დაურიგდათ 50-ლარიანი ბუნებრივი გაზის ვაუჩერები; თბილისში მცხოვრებ პენსიონერებს (დაახლოებით 200 000 ადამიანს) დაურიგდათ მედიკამენტებით უზრუნველყოფის 25-ლარიანი ვაუჩერი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით ტყეშელაშვილის განცხადებით, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ვაუჩერებით ისარგებლებს ოჯახის ყველა წევრი, რომელიც აღნიშნული კატეგორიებიდან ერთ-ერთს მაინც მიეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთმა ოჯახმა, შესაძლოა, რამდენიმე ერთი და იმავე სახის ვაუჩერი მიიღოს. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის ვაუჩერზე მითითებულია „პრეზიდენტის სუბსიდია“, ხოლო სათბობი შეშის ვაუჩერზე – „პრეზიდენტის საჩუქარი“, რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები იმით ხსნიან, რომ ვაუჩერების პროგრამა პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდება, თუმცა პრეზიდენტის ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტის ისეთივე ნაწილია, როგორც მისი ნებისმიერი სხვა მუხლი.



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 4.

### ხელფასებისა და პენსიების გაზრდა

**პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, 2007 წლის 1 დეკემბრიდან მინიმალური პენსიების ოდენობა არსებული 38 ლარიდან 55 ლარამდე, ხოლო 2008 წლის 1 იანვრიდან – 76 ლარამდე გაიზრდება; 1 დეკემბრიდან 200 ლარამდე გაიზარდა პედაგოგების ხელფასებიც; ხოლო მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების ხელფასები 1 დეკემბრიდან 1600 ლარით განისაზღვრა, ხოლო წევრ-კორესპონდენტებისა – 1000 ლარით.**

გაზრდილი პენსიების დაფინანსების წყარო ამ ეტაპზე არც 2007 წლის დეკემბრის და არც 2008 წლის ბიუჯეტის პროექტში მითითებული არ არის. საბაზისო გათვლებით, პირველ ეტაპზე პენსიების 55 ლარამდე გაზრდისთვის 2007 წლის დეკემბერში 13,6 მლნ. ლარის, ხოლო 2008 წლიდან – დაახლოებით 269 მლნ. ლარის დამატებით გამოყოფა იქნება საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ხელფასების, მათ შორის, პედაგოგების ხელფასები რამდენჯერმე გაიზარდა, ხელისუფლებას 2007 წელს ხელფასების მომატება, ბიუჯეტს თუ დავეყრდნობით, გათვალისწინებული არ ჰქონია. პარლამენტში ოქტომბერში წარდგენილ არც 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში და არც 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მსგავსი ინიციატივა ასახული არ ყოფილა. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს საჯარო სკოლებში (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით) დაახლოებით 70 ათასი პედაგოგია, თუ თითოეულის შრომის ანაზღაურება საშუალოდ 40-50 ლარით გაიზრდება, თვეში დამატებით 2,8-3,5 მლნ. ლარი, ხოლო წელიწადში 34-42 მილიონი ლარი იქნება საჭირო.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 5 ოქტომბერს თბილისელმა და რეგიონებიდან სპეციალურად ამ მიზნით ჩამოსულმა პედაგოგებმა სახელმწიფო კანცელარიის წინ აქცია გამართეს, რომელზეც პედაგოგების გაუსაძლის მდგომარეობაზე საუბრობდნენ და სხვა მოთხოვნებთან ერთად, ხელფასების მომატებას და სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფას ითხოვდნენ. აქციაზე პედაგოგებმა პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილიც გამოთქვეს და წერილობით მიმართეს პრეზიდენტის ადმინისტრაციას. საპროტესტო აქციას სახელმწიფო კანცელარიიდან არავინ გამოხმაურებია. ხელისუფლების მხრიდან უპასუხოდ დარჩა ერთი წლის წინათ მასწავლებლების მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით შეგროვებული და გრძლად აკინძული 400-მეტრიანი წერილობითი აპელაციაც, რომელშიც მასწავლებელთა პრობლემები იყო ჩამოწერილი.

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ არჩევნების დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი მეცნიერებათა აკადემიას „სტალინურ გადმონაშთს“ უწოდებდა და მისი არსებობის მნიშვნელობას ვერ ხედავდა. დღეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში 65 აკადემიკოსი და 64 წევრ-კორესპონდენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის ახალი ინიციატივის განხორციელების შემდეგ, აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების ხელფასებისთვის წლიურად დაახლოებით 2,2 მლნ. ლარი იქნება საჭირო. 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მეცნიერებათა აკადემიისთვის მხოლოდ 1 300 000 ლარია გამოყოფილი, რაც ადასტურებს, რომ 2007 წლის სექტემბერში (როდესაც 2008 წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში შევიდა) ხელისუფლებას აკადემიკოსებისა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ხელფასების მატება გადაწყვეტილი არ ჰქონია. ამ ნაწილში განხილული ინიციატივების დაფინანსების წყარო 2007 და 2008 წლების ბიუჯეტებში განსაზღვრული არ არის, შესაძლებელია, ხელისუფლება მათ დაფინანსებას პრეზიდენტის და მთავრობის ფონდებიდან ვარაუდობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, სექტემბერში წარდგენილი 2008 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა დროებით შეჩერდა. განხილვის შეჩერების არგუმენტი იყო ის, რომ პრეზიდენტის პრიორიტეტების გათვალისწინება უნდა მომხდარიყო. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, წლევანდელი წლის ბიუჯეტი „ხალხისკენ შემობრუნებული“ იქნება.

### შეღავათები ტრანსპორტზე

**20 ნოემბერს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უსინათლოებსა და ომის ვეტერანებს შეხვდა და ამ შეხვედრაზევე საკრებულოს დაავალა, დაუყოვნებლივ განეხილა ინიციატივა უსინათლოებისა და ვეტერანებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის უფასოდ სარგებლობის დაწესების შესახებ.** ვეტერანებისა და უსინათლოებისთვის სატრანსპორტო შეღავათები, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2007 წლის ზაფხულში გაუქმდა. ამის მიზეზი საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ე.წ. „შეღავათების მონეტიზაციის პროგრამა“ გახდა. ამ და სხვა შეღავათების გაუქმებას ვეტერანებმა, მაშინ თბილისის მერიის შენობის წინ საპროტესტო აქციების გამართვით უპასუხეს, თუმცა იმ პერიოდში მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა. ამჟამად, სატრანსპორტო შეღავათები 3 400 ვეტერანსა და 370-მდე უსინათლოს შეეხება.

მოამზადა
ოლღა ცისკარიშვილმა.

(გაგრძელება იქნება)

# პერსპექტივა

2009 წლიდან მოსალოდნელია, რომ ქართულ ავიაბაზარზე ახალმა ავიაკომპანიებმა დაიწყონ ოპერირება. ავიაკომპანიების გაზრდით გადაზიდვის ღირებულებაც შემცირდება, რაც გადაზიდვების მოცულობის გაზრდის წინაპირობაა



**ტურიზმი**

***კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ბაკურ ლაშქარავა სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას აცხადებს, რომ საქართველოში უამრავი ტურისტული პროდუქტია ხორცშეუსხმელი და მათი მიზნობრივი გამოყენება აუცილებელია. იმაზე, თუ როგორ მოემზადა ტურიზმის დეპარტამენტი და რა პრიორიტეტები აქვს მას 2008 წლისთვის, გვესაუბრება ბაკურ ლაშქარავა.***

# საქართველოთი დაინტერესება სულ უფრო იზრდება

## 2008 წლის პრიორიტეტებია ბრენდინგი და მარკეტინგული სტრატეგია

ტურისტების რაოდენობა, — ამბობს იგი — მართლაც გაიზარდა. 2006 წელთან შედარებით 2007 წელს საქართველოში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა 100 პროცენტით გაიზარდა. 2007 წელს. დაახლოებით 1 მილიონამდე ვიზიტორი შემოვიდა. 2007 წლიდან დავიწყეთ იმის გამიჯვნა, ესა თუ ის ვიზიტორი საქართველოში საქმიანი ვიზიტით შემოდიოდა თუ ტურისტული მიზნით. მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, როდესაც საზღვარზე თითოეულ უცხოელს ეკითხებიან, თუ რა მიზნით შედის ის ქვეყანაში. 2007 წლამდე კი ასეთი ათვლა, ფაქტობრივად, არ ყოფილა.

**— 2008 წლისთვის რამდენია ტურიზმის დეპარტამენტის ბიუჯეტი და რა კონკრეტული პროექტები განხორციელდება წლეულს?**

— როდესაც 2008 წლის ბიუჯეტზე დავიწყეთ მუშაობა, სტრატეგიული ბაზარი დავყავით საერთაშორისო ბაზრად და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებად. ცხადია, ორივე ბაზრის ათვისება ჩვენთვის მნიშვნელოვანია. საერთაშორისო ბაზარი გაცილებით მსხვილი და განვითარებულია. ხოლო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ბაზარი ჩვენთვის უფრო გასაგები და ადვილად აღსაქმე-



ლია. ყოფილი საბჭოთა კავშირის ბაზარი ნაკლებად განვითარებულია და მასში შესვლა ჩვენთვის უფრო ადვილია. ტურიზმის დეპარტამენტის დამტკიცებული ბიუჯეტი 2007 წელს 1 მლნ. 491 ათასი ლარი იყო, თუმცა სხვადასხვა პროექტის დასაფინანსებლად მთავრობამ დამატებითი თანხა გამოგვიყო. რეალურად კი 2007 წელს სხვადასხვა პროექტის განხორციელებისთვის 3 მლნ. 965 ათასი ლარი დავხარჯეთ. შარშან დაგეგმილი ბიუჯეტის დიდი ნაწილი გამოფენებზე იხარჯებოდა. 2008 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებია ბრენდინგი და მარკეტინგული სტრატეგია, ვებსტრატეგია. შიდა ტურიზმის განვითარება დაგეგმვა, ინვესტიციების მოზიდვა და ინფრასტრუქტურის განვითარება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ვებსტრატეგიას უდიდესი მნიშვნელობა მივანიჭოთ, რადგანაც მსოფლიოში ტურიზმის განვითარებას უდიდესი წვლილი შეაქვს. ვებგვერდის განვითარებასა და ონლაინ სარეკლამო კამპანიას წელს დაახლოებით 313 ათასი ლარი მოხმარდება. 2008 წელს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი და არსებული ტურისტული მიმართულებების გენერალური გეგმების და კონკრეტული ტურისტული პროდუქტების (ღვინის, მაისი, და ა.შ) ეკონომიკური მიზანშეწონილობების პროექტების შექმნას. წელს დაგეგმილია ასევე მრავალი პრესტურის მოწყობა. თუკი სხვა წლებში ყოველწლიურად 24 საერთაშორისო გამოფენაში ვიღებდით მონაწილეობას, გადავწყვიტეთ, რომ წლის განმავლობაში მონაწილეობა 6 გამოფენაში მივიღოთ იმ ქვეყნებში, სადაც უკვე გარკვეული ნიში გვაქვს და შევეცდებით, ამ ქვეყნებში ჩვენი ქვეყნის ცნობადობა გავზარდოთ. ამიტომ 2008 წელს დეპარტამენტი 832 ათას 965 ლარს გამოფენებში მონაწილეობისთვის დახარჯავს, ხოლო 245 ათასი ლარი პრესტურების მოწყობისთვის დაიხარჯება. სარეკლამო კამპანიისათვის კი, რომელიც წარიმართება უკრაინაში, ყაზახეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, კავკასიასა და ისრაელში, დაახლოებით 1 მლნ. ლარი დაიხარჯება.

**— წლის ერთ-ერთ პრიორიტეტად ინვესტიციების მოზიდვა დაასახელეთ. როგორ გეგმავთ აღნიშნულის განხორციელებას?**

— საქართველოში უამრავი პოტენციური ტურისტული პროდუქტია, რომელიც დღემდე გამოუყენებელია. თუნდაც კურორტი ბახმარო. ბახმაროში რაღაც რაოდენობის ტურისტი ჩადის და ისვენებს, მაგრამ კურორტს მეტი პოტენციალი აქვს. ბახმაროში ისეთი მიკროკლიმატია, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ იქ სამთო-სათხილამურო კურორტი მოეწყოს და ზამთრის ტურიზმიც განვითარდეს. თუმცა ამისთვის საჭიროა, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურა იყოს განვითარებული, ვგულისხმობ სასტუმროებს, საბაგირო გზებს, სათხილამურო ტრასებს. იმისთვის, რომ მოვიზიდოთ ცნობილი კომპანიები, რომლებიც ამ ყველაფერში სოლიდურ ინვესტიციებს განახორციელებენ, სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები და ჩადოს ინვესტიცია იმ მიმართულებით, რომ ამ ტურისტული პროდუქტის გენერალური გეგმა შექმნას.

ამისათვის კი საჭიროა ჩამოვიყვანოთ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც დაადგენენ, თუ რომელი მთა უმჯობესი იმისათვის, რომ სათხილამურო ტრასა მოეწყოს. სწორედ გეგმით გაიწერება და დადგინდება, თუ სად უნდა იყოს გზა და სად უნდა გაიყვანონ ელექტროსადენები თუ სხვა. თუკი ქვეყანა საქმეს რომელიმე ცნობილ საკონსულტაციო კომპანიასთან დაიჭერს, მაშინ ინვესტორები უფრო იოლად გადაწყვეტენ, რომ საქართველოში შემოვიდნენ და კონკრეტულ პროექტებში თავიანთი კაპიტალი დააბანდონ. არის ასეთი კომპანია „მააკინზი“.

როდესაც აღნიშნული კომპანია ინვესტიციის განხორციელებას იწყებს, ის იმდენად ავტორიტეტული საკონსულტაციო კომპანიაა, რომ ავტომატურად ძალიან ბევრი ინვესტორი ინტერესდება პროექტში მონაწილეობით. ასეთი კომპანიების ჩამოყვანა საქართველოში მნიშვნელოვანია. წელს ვგეგმავთ, რომ სწორედ ისეთი კომპანიები ჩამოვიყვანოთ, რომლებიც ტურისტული პროდუქტების გენერალურ გეგმებს შექმნიან და ეკონომიკურ მიზანშეწონილობას შეისწავლიან.

**— იმავდროულად მნიშვნელოვანი უნდა იყოს შეღწევადობის გაუმჯობესებაც...**

— რა თქმა უნდა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა აეროპორტებმა მგზავრთბრუნვა გაზარდონ, რაც მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. მნიშვნელოვანია, რომ გავხდეთ გამტარი ანუ ე.წ. „ჰაბი“ აეროპორტი ჩვენი რეგიონისთვის. ევროპაში ავიაბაზარი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მოთხოვნა იმდენად მაღალია, რომ მის დაკმაყოფილებას მხოლოდ ადგილობრივი კომპანიები ველარ ახერხებენ.

**— როგორც ვიცი, ამისათვის საგადასახადო შეღავათები გახდება საჭირო. დეპარტამენტმა აღნიშნული მიმართულებით მუშაობა უკვე დაიწყო?**

— ჯერჯერობით არა. იმისთვის, რომ ტვირთბრუნვა გაიზარდოს, ორი ცნობილი კომპანია — „ესემი“ და „ოუჯიემი“ — უნდა დაგვეხმაროს. მათ კონსულტაციები უნდა გაგვიწიონ და ტვირთბრუნვის გაზრდაში შეგვიწყონ ხელი. როდესაც ისინი ამა თუ იმ ქვეყანაში მუშაობას იწყებენ, ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ იმ ქვეყანაში 2-3 ახალი ავიაკომპანია შევა.

**— ანუ უახლოესი ორი წლის განმავლობაში ქართულ ავიაბაზარზე ახალი უცხოური ავიაკომპანიების შემოსვლას უნდა ველოდეთ?**

— რა თქმა უნდა. 2008 წელს ეს კომპანიები საქართველოში შემოვლენ და 2009 წლიდან მოსალოდნელია, რომ ქართულ ავიაბაზარზე ახალმა ავიაკომპანიებმა დაიწყონ ოპერირება. ავიაკომპანიების გაზრდით გადაზიდვის ღირებულებაც შემცირდება, რაც გადაზიდვების მოცულობის გაზრდის წინაპირობაა.



**— 2007 წლის დასაწყისში საუბარი იყო, რომ 30-მდე ახალი ტურისტული მარშრუტი შეიქმნებოდა. რა გაკეთდა ამ მიმართულებით. შეიქმნება თუ არა 2008 წელს ახალი ტურისტული მარშრუტები?**

— რა თქმა უნდა, ახალი ტურისტული მარშრუტები შეიქმნა და ეს პროცესი გაგრძელდება. ახალი ტურისტული მარშრუტები როგორც უცხოელი, ისე შინა ტურისტებისთვის უფრო პოპულარული ხდება.

**— ახალი ობიექტების მშენებლობის თვალსაზრისით, სეზონის გახსნას რა სიახლეებით შევხვდით?**

— ეს, ძირითადად, სასტუმროებია. საქართველოში მართლაც ბევრი სასტუმროთა ბრენდი შემოვიდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**— თქვენთვის თუ არის ცნობილი, უახლოეს ხანებში კიდევ ხომ არ იგეგმება სასტუმროთა ახალი ბრენდების შემოსვლა.**

— ამ დროისათვის მოლაპარაკებები ორ კომპანიასთან — „ინტერკონტინენტალთან“ და „აკორ გრუპთან“ — მიმდინარეობს, რათა ქვეყანაში რამდენიმე სამვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდეს. 2008 წლის ბოლომდე ველოდებით, რომ შესაბამის ინვესტორებთან ხელშეკრულებას მოვაწეროთ ხელი და მათ სასტუმროების მშენებლობები დაიწყონ.

**— რაც შეეხება გუდაურსა და ბაკურიანს, მათი განვითარებისთვის რა კონკრეტული ნაბიჯები იდგმება? იგეგმება თუ არა ახალი სათხილამურო ტრასების მშენებლობა?**

— იანვრის ბოლოს გუდაურში ახალი საბაგირო გზა და სათხილამურო ტრასები გაიხსნება.

**— მახსოვს, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გარკვეული თანხა გამოიყო, რომელიც ახალი საბაგირო გზის მშენებლობისთვის უნდა დახარჯულიყო. ის საბაგირო გზა, რომელზეც თქვენ საუბრობთ, სახელმწიფოს ხარჯებით აშენდა?**

— დიახ. ეს საბაგირო ტრასა მთავრობის დაფინანსებით აშენდა, რაც უშუალოდ „მარკო პოლოს“ უკავშირდება და საბოლოო ჯამში, ის „მარკო პოლოს“ საბაზრო ფასს საგრძნობლად ზრდის.

**— ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიის პრეზენტაცია დიდი ზარზეიმით მოაწყო. თუმცა დღემდე არ გამოჩენილა ერთი ინვესტორიც კი, რომელიც აღნიშნული ტერიტორიის ათვისებითა და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობით იქნებოდა დაინტერესებული.**

— პროექტს უშუალოდ ეკონომიკის სამინისტრო კურირებს, თუმცა როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ინვესტორთა სათანადო დაინტერესება მართლაც არსებობს, თუნდაც ებრაელი ინვესტორების მხრიდან. 2008 წლისათვის შაორთან მიმართებაში მრავალი პროექტის გენერალური გეგმის დაწერის საშუალება გვექლევა. ვფიქრობ, „შაორის პროექტის“ გაყიდვაში პრობლემები არ არსებობს. ნოემბრის მოვლენებმა პროექტების განვითარება, მართალია, შეაფერხა, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია.

ესაუბრა
**მაია არაბიძე**

# დღევანდელობა

როცა „კაპეზეში“ მჩხრეკდნენ, საგულდაგულოდ ყველაფერი შემიმოწმეს – ფეხსაცმლის თასმები, ქამარი მომხსნეს. ხატი ნამდვილად არ გამხსენებია, ის მოგვიანებით ვიპოვე ჯიბეში, ჩხრეკის დროს სასწაულებრივად გადარჩენილი...



## ინფორმაცია

### აფხაზები კვიპროსზე

ჩრდილოეთ კვიპროსში აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის წარმომადგენლობა გაიხსნება. ამის შესახებ სააგენტო „რეგნუმს“ დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მაქსიმ გვინჯიამ განუცხადა.

გვინჯია ჩრდილოეთ კვიპროსში 5-8 იანვარს იმყოფებოდა. მისი თქმით, აფხაზეთს ამ რესპუბლიკასთან, სადაც აფხაზური დიასპორა ცხოვრობს, კარგი ურთიერთობის დამყარება სურს.

ჩრდილოეთ კვიპროსში ყოფნისას, გვინჯია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა. იგი მიიჩნევს, რომ შეხვედრები სასარგებლო და კონსტრუქციული ხასიათის იყო.

ინტერპრესნიუსი

### ვახტანგაშვილი ოპოზიციას რჩევებს აძლევს

დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი მიიჩნევს, რომ გაერთიანებული ოპოზიციის ქმედებები სეპარატისტული რეჟიმების ინტერესებზე ასხამს წყალს. მისი თქმით ოპოზიციის პროტესტი გაუმართლებელია, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილს დიდი უმრავლესობით მხარს უჭერს კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობაც.

– რაც უფრო მეტი პრობლემები შეექმნება საქართველოს ხელისუფლებას და ვეღარ მოიცლის კონფლიქტური რეგიონებისათვის უფრო მეტად გახარებული იქნებიან კოკოითი და ბაღაფში, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ვახტანგაშვილმა.

### წინადადებას კონკრეტული შედეგები უნდა მოჰყვეს

ყველა წინადადება, რომელიც რუსსა და ქართველ ხალხს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად მისასალმებელია, – ამის შესახებ რუსეთის დუმის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა მიხეილ სააკაშვილის განცხადების კომენტირებისას განაცხადა.

– რა თქმა უნდა კარგი იქნებოდა, რომ წინადადებებს კონკრეტული ქმედებები მოყვებოდეს. ასე, რომ წინადადებები კარგია ახლა კი კონკრეტულ მოქმედებებს ველოდებით, – დასძინს დუმის სპიკერი.

გრიზლოვი სააკაშვილის განცხადების კონტრეტულ კომენტირებაზე უარს აცხადებს და ყველას ურჩევს საქართველოში ჩატარებული არჩევნების საბოლოო შედეგს დაელოდოს და კომენტარები მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთონ.

– მინდა საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო ოფიციალურ შედეგებს დაველოდო. თორემ დსთ-ს სივრცეში ხშირად ხდება, რომ დღეს ერთი შედეგი ცხადდება, ხვალ კი მეორე, – განაცხადა გრიზლოვმა მიხეილ სააკაშვილის განცხადების კომენტირებისას, სადაც სააკაშვილი რუსეთთან ურთიერთობის „სუფთა ფურცლიდან“ დაწყებას აპირებს და ამ სახელმწიფოს მეგობრობის ხელს უწვდის.

ჯი-ეიჩ-ენი

## შეწყალება

*ხელისუფლებამ უხვი დაპირებებით თავბრუდახვეულ ხალხს საშობაოდ ახალი სიურპრიზი მოუმზადა – შეიწყალა კონტროლის პალატის ყოფილი შეფი სულხან მოლაშვილი და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა.*

*სულხან მოლაშვილს, რომელიც 2004 წელს დააპატიმრეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და გადამეტების გამო, 8 წელი ჰქონდა მისჯილი. „ეს იყო პატრიარქის შუამდგომლობით შეწყალების აქტი, რომელსაც ხელს აწერს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, – ამბობს ბატონი სულხანი, – ხოლო თავად დანაშაულის საკითხი, რამდენად მართალი ვარ ან მტყუანი, არ განიხილებოდა.*

*მაშინ, ეიფორიის პერიოდში, როცა, მაპატიეთ და, პარტყაპურტყით იჭერდნენ ადამიანებს, არავის აინტერესებდა, ვინმე მტყუანი იყო თუ მართალი. რევოლუციის პირველი ეიფორია სუფევდა, როგორც დღეს მავანნი უწოდებენ, ეს „ტრანსფორმაციის ტკივილები“ იყო. ამ ვაჟბატონებს სულავიწყდებათ, რომ საქმე ეხება კონკრეტულ ადამიანს, მის ჯანმრთელობას, ოჯახს, ახლობლებს... ერთი სიტყვით, უკავშირდება მცირე და დიდ ტრაგედიებს. ეს რატომღაც არ აღელვებთ. რა უფრო საჭიროა ქვეყნისათვის – გადარჩენა თუ ტრანსფორმაციის ტკივილებზე ღამის ინტელექტუალური საუბრები, ეს ცალკე განხილვის თემაა. თუ ყოველგვარ ქმედებას სამართლიანობა არ უდევს საფუძვლად, მისი არც ტკივილია ტკივილი და არც მისთვის გამოყოფილი წამალი აღმოჩნდება ეფექტიანი.*

*ერთი რამ ავიწყდებათ – რაღაც სასიკეთოს მიღწევას, შემოქმედებითი პროცესიდან დაწყებული ხის დარგვით დამთავრებული, შრომასა და ოფლისღვრასთან ერთად, უწინარეს ყოვლისა, ელემენტარული სამართლიანობა სჭირდება. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ჩემი ბრალდების მთლიანი ფაბულა გაგაცნოთ – საბოლოო სასამართლო განაჩენი ეფუძნება იმას, რომ მე, როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, 4 წლის განმავლობაში თურმე მიმითვისებია 2665 ლარი, რომელიც კანონით გათვალისწინებული პრემია იყო, ყველა სამინისტროში, დაწესებულებაში და უწყებაში რომ იღებდნენ. თვეში დაახლოებით 70 ლარი გამოდიოდა. აი, ეს კანონიერი თანხა მაშინდელმა სასამართლომ გაფლანგვად მიიჩნია“...*

# პატრიარქმა სულხან მოლაშვილი წმინდა ნიკოლოზს ჩააბარა

## ღირდა კი პატარა ელენეს ცრემლებად „ტრანსფორმაციის ტკივილი?

**– ანუ ეს თანხა თქვენი დაპატიმრების საბაბად იქცა და პირადი ანგარიშსწორებისთვის გამოიყენეს?**

– ბუნებრივია, ასე იყო, რითაც უნდოდათ დაენახვებინათ, როგორც დღეს უყვართ თქმა, მყისიერი ეფექტები. რამდენიმე კაცი სწორედ იმიტომ დააპატიმრეს, რომ კორუფციასთან ბრძოლის შთაბეჭდილება შექმნილიყო.

შემომითვალეს, დამემუქრნენ, წადი, გაიქეციო... სად უნდა გავქცეულიყავი, სამი პატარა შვილის პატრონი, აქეთ ასაკოვანი მამა დამეტოვებინა თუ ძმა 4 შვილით, ან დედის საფლავი? წადი, აიბარგე და გადაიჯიშდი... კი მაგრამ, რატომ? შეგნებულად, საჯაროდ განვაცხადე, რომ გაქცევას არ ვაპირებდი, ჩემი ცხოვრების გზასაც რომ გადავხედე, ისეთი არაფერი ჩამიდენია, დანაშაულებრივ ქმედებად რომ შეფასებულიყო და ნებაყოფლობით გამოვცხადდი პროკურატურაში...

**– თქვენ პატრიარქის შუამდგომლობით გაგათავისუფლეს, უწმინდესის სურათი თქვენს სახლში ალბათ შემთხვევითობას არ უკავშირდება. ელოდით ამ ყველაფერს? რას გრძნობს საპატიმროდან გამოსული სულხან მოლაშვილი?**

– ნამდვილად მოულოდნელი იყო, რაც მოხდა. ეს სურათი ჩემს ოჯახში შეწყალების შემდეგ არ გაჩენილა, ძალიან ძველია. წარმოშობით მოხევეები ვართ, წინაპარი გვყავდა ჩოფიკაშვილი. ჩემი ბავშვები ზაფხულობით ყოველთვის ხევში მიმყავს... ამიტომ ცოტა კუთხური მიკერძოებაც იყო... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

მინდა მადლიერებით მოვიხსენიო უწმინდესი და უნეტარესი ჩემს მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისა და სიკეთისთვის. ვფიქრობ, ყველაფერი უფლის ნებით მოხდა.

შობის ღამეს უკვე საგრძნობლად ბნელოდა, როცა მე და დავით მირცხულავა გამოვედით საპატიმროდან, პირდაპირ საპატრიარქოსკენ გავეშურეთ, იქ პატრიარქს შევხვდით და შემდეგ სამების ტაძრისკენ გავემართეთ. თუმცა, მანამდე მოვასწარი და შინაც შევირბინე, რათა სახლში შევხვედროდი შობის დღესასწაულს.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მორწმუნეებს ერთი ამბავი მოვუყვე, რომელიც ჩემს დაპატიმრებასა და გათავისუფლებას უკავშირდება. ამით იმ ადამიანების ყურადღებაც მინდა მივიქციო, ვინც გააფთრებით, ხანდახან უნებლიეთ, ეკლესიას ებრძვის. ფანატიკოსი მორწმუნე ნამდვილად არ ვარ, ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ვიყავი, როცა მაპატიმრებდნენ. ჩემს მოძღვარს მეუფე პეტრეს გავენდე, მიჭერენ და ნებაყოფლობით გამოცხადებას ვაპირებ-მეთქი. მირჩია, საპატრიარქოში შეიარეო. ასეც მოვიქეცი. პატრიარქს დაუგეგმავად ვესტუმრე, სიმართლე გითხრათ, არც მეგონა, თუ მის უწმინდესობას შევხვდებოდი. ღვთის წყალობით, ასე მოხდა. როცა ვუთხარი, სპეცდანიშნულების რაზმი უკვე ჩემთან შინ იყო და საკუთარი ნებით ვაპირებდი პროკურატურაში გამოცხადებას, შევატყვე, რომ ძალიან შეწუხდა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევამ იმ წუთებში ძალა შემმატა... შემდეგ მან წმინდა ნიკოლოზის პატარა ხატი მაჩუქა და მითხრა – შენს თავს წმინდა ნიკოლოზს ჩავაბარებ და ეს ხატი არ მოიშოროო...

როცა „კაპეზეში“ მჩხრეკდნენ, საგულდაგულოდ ყველაფერი შემიმოწმეს – ფეხსაცმლის თასმები, ქამარი მომხსნეს. ხატი ნამდვილად არ გამხსენებია, ის მოგვიანებით ვიპოვე ჯიბეში, ჩხრეკის დროს სასწაულებრივად გადარჩენილი...

უფრო გასაოცარი ის იყო, რომ თავად პატრიარქს ეს ყველაფერი ახსოვდა. როდესაც მან ციხეში პატიმრები მოგვინახულა, ხატის ამბავიც მოიკითხა, – ხომ ისევ გაქვსო? სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლების შემდეგაც ისევ ამ ხატზე ვისაუბრეთ.

იხ. 8 გვ.

## კითხული კაცის აზრი

# ჯიმი ჯალიაშვილი: საერთაშორისო დამკვირვებლები თითქოს შორეული სივრციდან ათვალიერებდნენ არჩევნებს...

## ამ ვითარებიდან გამოსავალი მხოლოდ მეორე ტურის ჩატარებაა

*საზოგადოებაში პოლიტიკური დაპირისპირება კიდევ უფრო გამოიკვეთა. ხმების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ოპოზიციური და სახელისუფლებო ძალები თითქმის თანასწორნი არიან. ეს სიტუაცია ქვეყანაში ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებს. ამას თითოეული მოქალაქე გრძნობს, რაც დაძაბულობის და დესტაბილიზაციის სერიოზულ საფრთხეს ქმნის.*

*ასეთ ვითარებაში რა არის მთავარი, ვინ უნდა აიღოს მასზე პასუხისმგებლობა? რამდენად დემოკრატიულად ჩატარდა არჩევნები და როგორია სამომავლო პროგნოზები? – ამ და სხვა პრობლემურ საკითხებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი ჯიმი ჯალიაშვილი.*

**– ბატონო ჯიმი, როგორ შეაფასებთ 2008 წლის 5 იანვარს და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების, საქმიანობას? ოპოზიცია მას გაყალბების გამო უჩივის, რომ დასავლეთს დესტაბილიზაცია არ სურს და თვალს ამიტომ ხუჭავს... მართლაც, გაყალბებას ისინი არ აღნუსხავენ და მხოლოდ უმნიშვნელო ხარვეზებზე ამახვილებენ ყურადღებას...**

– შთაბეჭდილება მრჩება, რომ სადამკვირვებლო სტრუქტურები ამ ყველაფერს ძალიან ზედაპირულად მიუდგნენ და მხოლოდ ზოგადი შეფასებებით შემოიფარგლნენ. საფუძვლიანი ანალიზის მაგივრად, დაზეპირებული წინადადებები მივიღეთ. დიტერ ბოდენს უნდა დავეთანხმო, რომ ამ ეტაპზე ძალიან ძნელია ყველაფრის შესწავლა, მაგრამ, ვფიქრობ, დამკვირვებლების უმრავლესობას თუნდაც რამდენიმე დარღვევა უნდა შეემჩნია ეს ფაქტი წინ წამოეწია და შეესწავლა.

ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ბოლო დროს და, განსაკუთრებით, ნოემბრის შემდეგ მის მიმართ უნდობლობა აშკარად გაიზარდა და არჩევნები გაცილებით გამჭვირვალედ უნდა ჩაეტარებინა.

იხ. 8 გვ.

№ 5. პარასკევი, 11 იანვარი, 2008 წელი.

# დღევანდელობა

● რა შეცდომებიც შევარდნაძემ დაუშვა (მან ოპოზიციური ძალების ჯიბრზე იმუშავა), ზუსტად მეორდება. ძალიან ცუდია, რომ ასეთი მცირე დროის განმავლობაში მეხსიერებას ვერ ვინარჩუნებთ და თითქმის იგივეს ვიმეორებთ, რაც უკვე გავიარეთ



**◎ კითხული კაცის აზრი**

## ჯიმი ჯალიაშვილი: საერთაშორისო დამკვირვებლები თითქოს შორეული სივრციდან ათვალიერებდნენ არჩევნებს...

**(მეშვიდე გვერდიდან)**

დასავლეთის დამკვირვებლები რა რაოდენობითაც არ უნდა ჩამოვიდნენ, ყველა პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად ირჯება. ისინი ანგარიშს, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ კონიუნქტურას უწევენ, აბსოლუტურად ზედაპირულ წარმოდგენას ქმნიან და იძახიან, რომ დარღვევები არც კი უნახავთ. მათი განცხადებები უსაფუძვლოა. თითქოს შორეული სივრციდან, სასხვათაშორისოდ ათვალიერებდნენ, თუ რა ხდებოდა არჩევნებზე. დამკვირვებლის მისია კი, ვფიქრობ, ცოტა სხვა რამაა. მან მთელი დღის მანძილზე მომხდარი მოვლენა, თითოეული უბანი ზუსტად უნდა შეაფასოს. აქედან გამომდინარე, ვერც ერთმა დამკვირვებელმა ვერ დატოვა იმის შთაბეჭდილება, რომ იგი ზრუნავს ამ ქვეყანაზე. ასეთი შეფასებები მათ აქ ჩამოუსვლელადაც შეეძლოთ გაეკეთებინათ.

**— ეს საკამათო ეგზიტპოლები... იყო თუ არა სავალდებულო მათი გამოქვეყნება და რაიმე ზეგავლენა ხომ არ მოახდინა მან ამომრჩეველზე?**

— პროცენტულად ზუსტად იგივე სურათი გამოიხატა, როგორც პირველად, ანუ სახელისუფლებო ძალების ეგზიტპოლი უნდობლობას თავისთავად ბადებს.

ეგზიტპოლებმა, ბუნებრივია, წამგებიანად იმუშავა ხელისუფლებაზე. მან პროცენტების წინასწარი გახმიანებით გამოავლინა „გამარჯვებული", რასაც სიხარული და ვფიქრობ, საკმაოდ საყმაწვილო დონეზე მოწყობილი ზეიმი მოჰყვა, მაშინ, როდესაც მოსახლეობის სულ ცოტა 40 პროცენტი ამ პროცესისადმი აშკარად დაპირისპირებულია (პრეზიდენტის ავტორიტეტზე განსაკუთრებით პირველმა ეგზიტპოლმა იმოქმედა უარყოფითად). მათ შეეძლოთ სოციოლოგიური გამოკვლევებით ეთქვათ დაახლოებითი შედეგები, მაგრამ არა იმ დროს და იმ სახით, როგორც ხელისუფლებამ გააკეთა.

რა შეცდომებიც შევარდნაძემ დაუშვა (მან ოპოზიციური ძალების ჯიბრზე იმუშავა), ზუსტად მეორდება. ძალიან ცუდია, რომ ასეთი მცირე დროის განმავლობაში მეხსიერებას ვერ ვინარჩუნებთ და თითქმის იგივეს ვიმეორებთ, რაც უკვე გავიარეთ.

**— რა მოხდება, თუ ყველაფერი ასე დასრულდა და ოპოზიცია ვერაფერს გახდა?...**



— ურთულეს მდგომარეობაში ჩავვარდებით. როგორ შეიძლება პრეზიდენტმა მართოს ის ქვეყანა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მისით უკმაყოფილოა? არადა, მან ხმების აბსოლუტური უმრავლესობის მიღების პიროზებშიც კი ქვეყანა, ფაქტობრივად, 7 ნოემბრამდე მიიყვანა. თუმცა ამის გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია. მას კიდევ აქვს ინტელექტუალური რესურსები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ეს არჩევნები დამარწმუნებელი გახადოს.

**— ანუ ფიქრობთ, რომ მეორე ტური აუცილებელია?**

— იმის გათვალისწინებით, რაც ამ არჩევნებს წინ უძღოდა (7 ნოემბრის ჩათვლით), მან აუცილებლად უნდა ჩაატაროს მეორე ტური, რათა საკუთარ გამარჯვებაში კიდევ ერთხელ დაარწმუნოს ხალხიც და საკუთარი თავიც (თუ ეს მართლაც დემოკრატიულად ჩატარდა). ეს გაცილებით უკეთესი გამოსავალია. მეორე ტურის შემთხვევაში კი, თუ ის ისევ მოიპოვებს გამარჯვებას, ოპოზიციას არსებულ რეალობასთან შეგუების საფუძველი უკვე ექნება.

მაგრამ ეს ჯიბრზე მოქმედი ძალაა, რომელიც, ვირტუალურ მტერს ებრძვის, თუმცა ძალიან მიჭირს იმის გაგება, თუ ვინ არიან ეს მტრები და რა ომში ვიმყოფებით?... თურმე მტრები ყოფილან გლეხები, რომლებიც ვაზს ჩეხენ, ასევე ადამიანები, რომლებიც თავიანთ ტკივილს გამოთქვამენ და ა.შ.

ხელისუფლებამ 2 ნოემბერს გამოსული ხალხის რაოდენობა არაფრად ჩააგდო, არადა დემოკრატიის მართვის უმთავრეს პრინციპში ციფრი არ არსებობს, რადგან 5 კაციც კი მისი მფარველობის ქვეშ არის და მან უნდა მართოს ისინი. ამიტომ ამბობენ — დემოკრატია საშინელებააო, რადგან მრავალფეროვანი ინტერესების მართვა უნდა მოახერხო. პრეზიდენტმა უნდა იცოდეს ხალხის რა რაოდენობა უჭერს მხარს და რაშია წინააღმდეგობა... ისინი კი ამით არც დაინტერესებულან.

ამ ვითარებიდან გამოსავალი მხოლოდ მეორე ტურის ჩატარებაა.

**— თუმცა ხელისუფლება დათმობას არ აპირებს... რა მოხდება, თუ ის კონსენსუსზე არ წავა? ოპოზიციამ ფარ-ხმალი უნდა დაყაროს?... როგორია თქვენი პროგნოზები?**

— ხელისუფლება, ვფიქრობ, ვერ მიაღწევს კონსენსუსს. ამას მგონი არც ფიქრობს. ოპოზიციას რაც შეეხება, იმედი მაქვს, არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს კიდევ ერთ სახელმწიფო გადატრიალებას, რამაც შესაძლოა 90-იან წლებში დაგვაბრუნოს. თუმცა მათ ხანგრძლივად მოუწევთ სასამართლოებში სიარული. ამასობაში კი საპარლამენტო არჩევნებიც მოახლოვდება და პროცესი მთლიანად ამ სიბრტყეში გადავა. ამჯერად კიდევ უფრო დაპირისპირებულნი აღმოჩნდებიან ის ძალები, რომლებიც ბოლო პერიოდში პირად ინტერესებს გვირჩევნებენ და არა ქვეყნისას.

ამ პროცესებიდან გამოსვლა არც ისე იოლი იქნება. მკითხველი თავად მიხვდება, ვის მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება ძირითადად ორ გამოსავალს პოულობს: იგი ან დარწმუნებულია თავის შესაძლებლობებში და თუნდაც, ასეთი მცირე უპირატესობის პირობებში მართავს და აწესრიგებს ქვეყანას, ოღონდ არა ძალის გამოყენებით, არამედ დემოკრატიული პრინციპებით; ან, როგორც მინიმუმ, მეორე ტურს ატარებს, ისევ და ისევ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.

ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ ორ ძალას შორის საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესი. თუმცა გამორიცხული არ არის, ეს ყველაფერი იქამდე მივიდეს, საქართველო აღარავის ახსოვდეს,რის გამოც ყველაზე დიდ დარტყმას დაბალშემოსავლიანი ფენები მიიღებენ. ამაზე პასუხისმგებლობას ოპოზიციას ვერ მოვთხოვთ, რადგან ბერკეტები არ გააჩნია...

ესაუბრა
**სოფიო გოგლიძე**

**◎ შეწყალება**

## პატრიარქმა სულხან მოლაშვილი წმინდა ნიკოლოზს ჩააბარა

**(მეშვიდე გვერდიდან)**

ასე რომ, პატრიარქმა დამლოცა. ასე შევდგი ციხეში ფეხი და საპატიმროდანაც მისი მონდომებით გამოვედი. მან წმინდა ნიკოლოზს ჩააბარა ჩემი თავი. თუკი შეიძლება, რომ დაპატიმრებული ბედნიერი იყოს, სწორედაც რომ ბედნიერება მხვდა წილად პატრიარქთან ურთიერთობის გამო. მინდა, ყველამ გაიცნობიეროს — როდესაც ქვეყანას ასეთი სულიერი წინამძღოლი ჰყავს, იმ ქვეყანას გატეხვა და გადაშენება არ უწერია.

უწმინდესთან ყოველი შეხვედრისას ვგრძნობ მის დარიგებას — ჩემში არ იმძლავროს აგრესიამ, შურისძიებამ. არ გაიღვიძოს გაბოროტების, გაბრაზების, სამაგიეროს გადახდის ინსტინქტმა. დიდი ღირსებაა, პატრიარქის რჩევა-დარიგებით იხელმძღვანელო, ვიდრე დაწვრილმანდე და შურისძიებაზე, სამაგიეროს გადახდაზე იფიქრო. უფალი ისედაც განარჩევს კეთილსა და ბოროტს, შავსა და თეთრს, ისედაც დაალაგებს ფაქტებს ღირებულებათა სისტემის თვალსაზრისით, მე რატომ განვსაჯო ვინმე? თუმცა, აქვე დავძენ, რომ ჩემი პროფესია — იურისტობა არ მაძლევს უფლებას, ეს საკითხი ბედის ანაბარად მივატოვო. საქმე იხილება სტრასბურგის ევროპის სასამართლოში. მართალია, ჩვეულებრივ სასამართლოსთან შედარებით ხანგრძლივ პროცედურას საჭიროებს, მაგრამ სამაგიეროდ გაცილებით მეტი ობიექტურობის გარანტია არსებობს და, დარწმუნებული ვარ, გადაწყვეტილება მართებული და ადეკვატური იქნება.

*... ვერაზე, გოგებაშვილის ქუჩაზე, სულხან მოლაშვილის საახალწლოდ მორთულ ბინაში ოჯახური იდილია ისევ აღდგა. პატარა ელენე მამას არ სცილდება და გამუდმებით რაღაცას ეკითხება...*

*— როგორც ვატყობ, ბავშვებს დღესაც არ სჯერათ, რომ შინ დავბრუნდი. ყოველ დილით გაოცებული მიყურებს პატარა ელენე. ბიჭები მაინც არ გამოხატავენ ამას და უფრო ვაჟკაცურად იქცევიან, თან დაზე ცოტათი დიდებიც არიან. ელენეს რატომღაც ჰგონია, რომ ისევ წავალ და დიდი ხნით დავტოვებ. მთხოვს, ყველგან მასთან ერთად ვიარო, გვერდიდან არ მშორდება, მაცნობს თავის თანატოლებს და ეუბნება, ეს მამაჩემიაო... რაც მოაკლდა, ცდილობს ახლა შეივსოს. მეც ხელს ვუწყობ. ელენე 5 წლის არის, როცა დატოვე, ერთი წლის იყო...*

*დარჩიაშვილისნაირმა ინტელექტუალებმა „ტრანსფორმაციის ტკივილზე" კარგად რომ ილაპარაკონ, 5 წლის ბავშვმა ცრემლებში უნდა გაატაროს ბავშვობა? მაშინ შეიქმნება კარგი საზოგადოება? — კითხულობს სულხან მოლაშვილი...*

*— დე, ახლა, როდესაც მამა დაბრუნდა, მიტინგებზე ხომ აღარ ივლი? — ეკითხება დედას — თათა ბახტურიძეს პატარა ელენე...*

*მაცილებენ მამა, დედა და ელენე... გარეთ თოვლით გადაფიფქული თბილისი გარინდებულა. მე კი რატომღაც იმ მაცხოვრის თვალებზე ვფიქრობ, რომელმაც ბატონი სულხანის ოჯახიდან გამომაცილა...*

**თამარ შაიშმელაშვილი**

**◎ ინფორმაცია**

### ნატოში პრეზიდენტთან ერთად შევალთ

საქართველოში 5 იანვარს ჩატარებული პლებისციტის შედეგები საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალურ მონაცემებთან ერთად გახდება ცნობილი.

როგორც ცესკოს მდივანმა გიზო მჭედლიძემ განაცხადა, კომისიას უკვე აქვს მონაცემები ნატოში შესვლასა და საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი დაჯამება ჯერ არ მომხდარა. თუმცა, ცესკოს მდივანმა განმარტა, რომ ორივე კითხვაზე მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გასცა პასუხი.

— განსაკუთრებით დიდი აქტივობა შეიმჩნეოდა ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობამ დადებითად უპასუხა, ასევე, მოსახლეობას სურვილი აქვს, საპარლამენტო არჩევნები გაზაფხულზე ჩატარდეს. ამასთან, უნდა აღნიშნოს, რომ ნატოში გაწევრიანების საკითხზე დადებითი პასუხი არჩევნების გაზაფხულზე ჩატარების საკითხს მკვეთრად უსწრებს, — განაცხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მდივანმა გიზო მჭედლიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

№ 5. პარასკევი, 11 იანვარი, 2008 წელი.

# ცხოვრება

ქართველი კაცისთვის ლამის სამშობლოს გრძნობასავით გასაკვირველი ღირსების გრძნობის ჩანერგვაში უდავოდ განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ქართულ მართლმადიდებლურ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას

## სულიერება

**„ერს, ისევე როგორც პიროვნებას, აქვს ღირსების გრძნობა. ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანის მიწიერი კეთილდღეობა ღირსებაზე უარის თქმის შედეგია, მაგრამ ასეთი ქმედება მთელი ცხოვრების განმავლობაში მძიმე ტვირთად აწვება პიროვნებასაც და ერსაც და იწვევს მათ სულიერ დეგრადაციას. საზოგადოება, რომელიც ღირსების განცდას მოკლებულია, განწირულია გადაგვარებისთვის. ამიტომაც არის ეს თვისება ერის არსებობის ერთგვარი გარანტი“.**

ეს ამონარიდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის საშობაო ეპისტოლედან არის აღებული.

ღირსების გრძნობა მუდამ სისხლხორცეულად რომ იყო დამახასიათებელი ქართველი ხალხისთვის, როგორც ერთი უძველესი და უდიდესი კულტურული ტრადიციების მქონე ერისთვის, ყველასთვის ცნობილია.

სწორედ ამ ტრადიციების დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ კოლხეთის (ფაზისის) აკადემია პირველი უმაღლესი სასწავლებელია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რაც დიდ საბჭოთა და პედაგოგიურ ენციკლოპედიებშიც არის აღნიშნული (ეს, გარდა იმისა, რომ საამაყოა, დიდ მოვალეობასაც გვაკისრებს: საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ ამ უმაღლესი სასწავლებლის წარსული, სათანადო ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული და სხვა წყაროები).

ქართველი კაცისთვის ლამის სამშობლოს გრძნობასავით გასაკვირველი ღირსების გრძნობის ჩანერგვაში უდავოდ განსაკუთრებული როლი განეკუთვნება აგრეთვე ქართულ მართლმადიდებლურ სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას, რომელსაც უკვე სამი ათეული წელიწადია სათავეში უდგას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომლის აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლისთავი ამ დღეებში იზეიმა ქართველმა ხალხმა.

**„თქვენო უწმინდესობავ!**

**უსაზღვროა დღეს ჩვენი სიხარული, რადგან თქვენი კურთხევით მივიღეთ პატივი, გულწრფელი სიყვარულითა და მოკრძალებით თაყვანი გცეთ ყოველთა ქართველთა სულიერ მამასა და ღირსეულ წინამძღოლს, განუზომელი ღვაწლითა და ჭეშმარიტი პატრიოტის მოღვაწეობით სიცოცხლეშივე საქართველოსა და ქართველი ერის უკვდავებად ქცეულ უწმინდეს პატრიარქს, რომელმაც ისტორიული უსამართლობით სუდარაგადაფარებული ქართული მართლმადიდებლური, სამოციქულო, ავტოკეფალური ეკლესია ჩაიბარეთ და ღვთის შეწევნითა და ყოვლისმძლე ძალით აღორძინებულ, ამაღლებულ და შეუქცევადად გაბრწყინებულ დედაეკლესიად გადააქციეთ...**

**თქვენო უნეტარესობავ! თქვენი უდიდესი რწმენითა და გამორჩეული ღვაწლით საქართველოს ისტორიულ მატიანეში სიცოცხლეშივე უკვე შებრძანდით დამსახურებული ეპითეტით – ილია II აღმაშენებელი... რამეთუ თქვენი ეპისტოლეები, ქადაგებები, საგალობლები და ფერწერა, კოლხეთის ცხოვრებისა (რაც სრულ შესწავლასა და სათანადო აღიარება-პატივგებას იმსახურებს) და ქართლის ცხოვრების ისტორიულ მატიანეთა გვერდით, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო, მარადიულ საუნჯესთან ერთად ღირსეული სიამაყითა და მომავლისადმი პირადი პასუხისმგებლობით ყოველ ქართველს აღაფრთოვანებს, სამშობლოს თავდადებისთვის გვრაზმავს, „მამულის, ენისა და სარწმუნოების“დაცვისთვის მტკიცედ და უკომპრომისოდ გვაერთიანებს. ღვთის მადლითა და წყალობით თქვენი სწავლება, სულიერი მამის ანდერძის საბრძოლო პროგრამის სახით, საუკუნეების მანძილზე თაობებს მემკვიდრეობით გადაეცემათ... თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და სულიერი ცხოვრების პირადი მაგალითი ის ჩაუმქრალი სანთელია, რომელიც ცხოვრებისეულ ქარიშხალში, წუთისოფლის რთულ ლაბირინთებში, რწმენის საფუძველზე ნათლად მიგვანიშნებს ხსნის გზას, გზას უფლისკენ.**

**დიდად პატივცემულო უწმინდესო და უნეტარესო! გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 75 წლის ღირსეულ იუბილესა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრებიდან 30 წლისთავს. გულწრფელად გისურვებთ ღვთის მადლით კურთხეულ დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს ქართველი ერის, ჩვენი საფიცარი საქართველოსა და დედაეკლესიის შემდგომი აღორძინებისთვის...“**



# ღირსების გრძნობა გასაკვირველი...

მცირეოდენ შემოკლებული ეს მისალმება, რომელსაც ხელს აწერენ ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ცოტნე მირცხულავა,** აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი **შოთა გოგოხია,** იყალთოს სახალხო აკადემიის რექტორი **ელიზბარ შათირიშვილი,** საქართველოს ჭყონდიდელცოტნეიდელთა საზოგადოების თავმჯდომარე, ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **ნუგზარ ნადარაია,** ამ დღეებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს გადასცეს ფაზისის საერო აკადემიის წარმომადგენლებმა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ფაზისის, ზუგდიდ-ცაიშისა და ჭყონდიდის ეპარქიათა მღვდელმთავრები, მეუფეები გრიგოლი, გერასიმე, პეტრე, ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის მღვდელმთავარი მამა საბა.

იუბილარს მიესალმნენ საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები ლია სტურუა, ზინა კვერენჩხილაძე, რეზო მიშველაძე, ლუიზა ჩხეტია, თინათინ მღვდლიაშვილი, ვაჟა ეგრისელი, ლეილა ლოლუა, ნანი გუგუშვილი, რეზო პაპუაშვილი, გოგიტა ჩიტაია.

ფაზისის საერო აკადემიის წარმომადგენლებმა უწმინდესსა და უნეტარესს საჩუქრად გადასცეს ანდრია პირველწოდებულის, ცოტნე დადიანის, გიორგი ჭყონდიდელის საერო და სასულიერო კანონიკური ხატები, რომელთა ავტორები არიან დავით მორგოშია, გიორგი გეგეჭკორი, სევერიან მაისაშვილი, აგრეთვე, ფოთსა და მარტვილში აღმართული ძეგლების ცოტნე დადიანისა (ელგუჯა ამაშუკელი, ვახტანგ დავითაია) და გიორგი ჭყონდიდელის (ოთარ ფარულავა) ფოტოსურათები.

**გიორგი გამახარია.**

№ 5. პარასკევი, 11 იანვარი, 2008 წელი.

## პოლემიკა

# ძნელია ისტორიკოსის ხვედრი

## პასუხად საზღვარგარეთელ ოპონენტს

**2007 წლის 30 მაისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბელგიის მოქალაქემ ბატონმა ომარ ხახაშვილმა დაბეჭდა სტატია „ენა რამდენიც გინდა გამოყავი, მამულს კი ეგრე ადვილად ვერავის ვერ გამოუყოფ...“ წერილში ავტორი პირადად მეც მეკამათება. მაგრამ არც მაშინ და არც ახლა არ მესმოდა და არ მესმის, თუ რისთვის წამოიწყო მან პოლემიკა.**

პარლამენტარ ლევან ბერძენიშვილთან კამათში მე ვამტკიცებდი, რომ ოდენ ქართული ენის ცოდნა არამც და არამც არ ნიშნავს ქართველობას. ჩვენი მთავარი ეთნიკური მახასიათებელი არც სისხლის ერთიანობა გახლავთ, არამედ ეთნიკური, ეროვნული შეგნება, გნებავთ უახლოესი ტერმინოლოგიით, ეროვნული თვითიდენტიფიკაცია ვიხმაროთ. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სხვადასხვა ფაქტორს ეფუძნება. თავად ბ-ნ ომარს კარგად მოეხსენება, რომ, ვთქვათ ბელგიის მოქალაქეობა სულაც არ ნიშნავს ფლამანდიელად ან ვალონად ყოფნას, ასევე საფრანგეთის მოქალაქეობა — ეროვნულად ფრანგობას და ა.შ. საკითხავია: რაა აქ საკამათო?

საოცარი იყო ისიც, რომ ბ-ნმა ომარმა საკამათოდ აქცია ჩემი სტატია, თითქოს გამოქვეყნებული აპრილში, გაზეთ „ახალი 7 დღის“ მე-15 ნომერში. სინამდვილეში ხსენებულ გაზეთს ეს სტატია არ დაუბეჭდავს. ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მავანი ჟურნალისტები მზად არიან უამრავი პიროვნების, ხელისუფლების გასაკრიტიკებლად, თუნდაც ლანძღვა-გინების ფორმით, მაგრამ მათ ტაბუ აქვთ დადებული ლევან ბერძენიშვილზე. ჩანს, ბ-ნი ომარი ჩემეულ სტატიას ხელნაწერის სახით გაეცნო. თუ როგორ მოხდა ეს ამბავი, ამის თაობაზე თვითონ რედაქციის თანამშრომლებმა უწყიან. ისე, ჩემი სტატია დაიბეჭდა „მწერლის გაზეთის“ 10-31 ივლისის ნომერში.

მოხდა ისე, რომ ჩემს უცხოელ ოპონენტს არ გამოვხმაურებივარ. უბრალოდ, იმიტომ, რომ საჭიროდ არ ვცანი, ეს გამეკეთებინა.

ამჯერად ოპონენტი კვლავ (15 დეკემბერსძ შეეცადა გაებიაბრუებინა ჩემეული სტატია, დაბეჭდილი „საქართველოს რესპუბლიკის“ 6 დეკემბრის ნომერში, ასევე პასუხები „რეზონანსის“ კითხვებზე (იხ. 2 დეკემბრის ნომერიძ. ჩემი ორივე გამოსვლა ეხებოდა 2-7 ნოემბრის ამბების საზრისის გაგებას. მოგეხსენებათ, ისტორიკოსები არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ ისტორიული პროცესების აღწერით, ე.ი. პასუხის გაცემით კითხვაზე: როგორ? მათ უნდა უპასუხონ კითხვაზეც: რატომ? ე. ი. უნდა ახსნან მოვლენები. თუ ოპონენტს ეჩოთირება აღნიშნულ მოვლენებში რაიმე საზრისის ძიება, მაშინ, დაე, ახსნის მცდელობად ჩამითვალოს.

ბ-ნ ომარის კატეგორიული განცხადებით, „აზრი არა აქვს 2-7 ნოემბრის დღეების მოვლენებში რაღაც „საზრისის“ ძიებას“. მაგრამ იგი ასევე კატეგორიულად მიიჩნევს, რომ შესაბამისი მოვლენების გამომწვევი მიზეზი ოდენ ხელისუფლებაშია საძებნი. ასე რომ, რუსეთის რაიმე კვალი და ოლიგარქ არკადი (ბადრიძ პატარკაციშვილის მხრივ დესტრუქციული მცდელობანი თითქოს პირწმინდადაა გამორიცხული. მე კი სხვაგვარად ვფიქრობ და ამის თაობაზე გადამწყვეტი სიტყვა ხელისუფლებამ უნდა თქვას.

ზედმეტია აქ კამათი გავაგრძელო აღძრულ საკითხებზე, მაგრამ ხომ ძალიან უცნაურია: მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს ვაკვირდები უშუალოდ საქართველოში, ასევე საკმაოდ მრავალი გაზეთისა და ტელეარხის მეშვეობით, თანაც ჩვენი უახლოესი ისტორიის მთელი ოცი წლის ისტორიის თვალთახედვით, რომლის მონაწილეც ხშირად თვითონ ვყოფილვარ. დაუმატეთ ისიც, რომ თავი ნამდვილად მიმაჩნია პროფესიონალ ისტორიკოსად. მიუხედავად ამისა, ბატონი ომარ ხახაშვილი ბელგიიდან ცდილობს ჭკუა მასწავლოს!

მართლაც ძნელია ისტორიკოსის ხვედრი — გაიზიაროს და შეადაროს მისი თანადროული მოვლენები, რადგან სრულ ისტორიულ ჭეშმარიტებაზე (საბოლოო ინსტანციაშიძ პრეტენზია აქვთ ამ პროცესებში უშუალოდ ჩართულ მონაწილეებს, ასევე უამრავ გარეშე დამკვირვებელს, რომლებიც ძალზე ხშირად სუბიექტური მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ. მაგრამ რას იზამ? ასეთია „მძიმე ჯვარი“ ისტორიკოსისა, რომელიც მან მუდამ უნდა ზიდოს.

**გურამ ყორანაშვილი**

## უცხოური პრესა

საქართველომ უკვე მიაღწია შთამბეჭდავ წარმატებებს და ჩვენ, როგორც დასავლელი პოლიტიკოსები, ვალდებული ვართ, განვაგრძოთ მონაწილეობა ამ პროცესში. ახლა გვერდზე გადგომის კი არა, პრობლემის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის დროა



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ყველანი საქართველოზე ვფიქრობთ

შაბათს პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს მიხეილ სააკაშვილი. ეს ქართული დემოკრატიისათვის წინ გადადგმული ნაბიჯია. არჩევნებზე თავისუფალი და სამართლიანი კონკურენცია იყო და ეს ხელს უწყობს საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებას, რომელიც საკმაოდ დაზარალდა ნოემბრის საპროტესტო აქციების დროს, როცა პოლიციასთან დემონსტრანტების შეტაკებების შედეგად ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა შემოიღეს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დასავლეთმა ახლა საქართველოს ნაკლები ყურადღება უნდა დაუთმოს. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ბალტიის ქვეყნებშიც გარდამავალი პერიოდის გამოცდილება მოწმობს, რომ მისი წარმატებისთვის საარსებოდ აუცილებელია ამ პროცესში საერთაშორისო გაერთიანების მონაწილეობა. ამასთან, მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა, თუმცა ესეც მნიშვნელოვანია. დედამიწის ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან და რთულ ნაწილში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ ჟესტებსა და სიმბოლოებს, ხალხისთვისაც და მისი ხელმძღვანელობისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია იმის შეგრძნება, რომ მათი დემოკრატიის მომავალი და თვითგამორკვევის კურსის განგრძობა რეალურად აღიქმება ევროპაში.

ბოლოს და ბოლოს პოლიტიკურ კრიზისში არცთუ მცირე წვლილი შეიტანა რუსეთმა ამ ახალგაზრდა დემოკრატიაზე თავისი ზემოქმედებით. დღეს რუსეთი ერთადერთი დიდი სახელმწიფოა, რომელმაც საქართველოში არჩევნებს „არადემოკრატიული“ უწოდა. მოსკოვი, რომელმაც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დასავლეთისკენ საქართველოს შემობრუნების წინააღმდეგ გაილაშქრა, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და პროპაგანდისტულ ომს ეწევა საქართველოსთან, შეწყვიტა რა მასთან ყოველგვარი ვაჭრობა და აძლიერებს დაძაბულობას სეპარატისტულ რეგიონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. კრემლის განუწყვეტელი ზემოქმედების შედეგად ორივე მხარემ – ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც – გარკვეული შეცდომები დაუშვეს.

ბუნებრივია, დასავლეთი ვერანაირად ვერ წავა კომპრომისზე, ერთი მხრივ, რუსეთის მიმართ საქართველოს შიშსა და, მეორე მხრივ, დემოკრატიასა და კანონიერებას შორის. ამავე დროს, რუსეთის მისწრაფება, მოახდინოს თავისი მეზობლების დესტაბილიზაცია, სრულიად მიუღებელია. ევროპამ რუსეთთან ვაჭრობა არ უნდა გამართოს ასეთ საკითხებზე და მისი ერთ-ერთი პოზიცია კვლავაც უნდა იყოს დასავლეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრული და უპირობო მხარდაჭერა.

რეგიონში სტაბილურობის გარანტიის საუკეთესო საშუალებაა ის, რომ საქართველოსთვის ნატოს კარი ღია დარჩეს. არჩევნებთან ერთად ქვეყანაში გაიმართა კენჭისყრა, რომლის შედეგადაც ქართველთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დასავლეთის სამხედრო ალიანსში ქვეყნის შესვლის კურსს.

ამ გზაზე პირველ ნაბიჯად საქართველოს უკვე კარგა ხანია აქვს იმედი, რომ ნატოში შესვლისათვის მოქმედების გეგმაში ჩართავენ, რომელიც სპეციალურად გათვალისწინებულია ალიანსში შესვლის მსურველი ქვეყნებისადმი ხელშეწყობისთვის, დემოკრატიის მაღალი სტანდარტების მიღწევისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრისათვის. თუ დღეს საქართველოს ზურგს შევაქცევთ, ეს მარტო თბილისს კი არა, დემოკრატიის აშენების მსურველ სხვა ქვეყნებსაც დაამუხრუჭებს.

საქართველომ უკვე მიაღწია შთამბეჭდავ წარმატებებს და ჩვენ, როგორც დასავლელი პოლიტიკოსები, ვალდებული ვართ, განვაგრძოთ მონაწილეობა ამ პროცესში. ახლა გვერდზე გადგომის კი არა, პრობლემის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის დროა.

მარტ ლაარი

THE WALL STREET JOURNAL

# ნატოში შესვლა ისე, რომ კრემლი არ განაწყენდეს

„საქართველო შევა ნატოში და უკრაინაც. მიუხედავად იმისა, რასაც ამბობენ და წერენ, დარწმუნებული ვარ, რომ ჯერ კიევი შევა, შემდეგ კი თბილისი“. 80 წლის ედუარდ შევარდნაძე, საბჭოთა კავშირის უკანასკნელი საგარეო საქმეთა მინისტრი, კაცი, რომელიც მიხეილ გორბაჩოვთან ერთად ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის დაშლას, დღეს თბილისის ერთ-ერთ უბანში – კრწანისში ცხოვრობს. 2003 წელს მას ძალაუფლება ჩამოართვა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ვარდების რევოლუციის“ დროს და იგი აქტიურ პოლიტიკას ჩამოშორდა, თუმცა პოლიტიკას დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის ცხოვრებაში.



– საქართველოს ღრმად კრიზისული ურთიერთობა აქვს რუსეთთან. ნატოს წევრი საქართველო მოსკოვისთვის მიუღებელია...

**– მაგრამ თბილისი მაინც შევა ნატოში და ევროპის საბჭოში, მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ მოსკოვი არ განაწყენდეს, ამისთვის საჭირო კომპრომისი უნდა გამოინახოს. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა უნდა გაუმჯობესდეს. ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ქვეყანას სჭირდება, ორ ხალხს შორის სიძულვილი არასოდეს ყოფილა.**

– პრეზიდენტობის კანდიდატთაგან მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესების მეტი შანსი რომელს აქვს?

**– მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ბადრი პატარკაციშვილს. ის დიდხანს მუშაობდა რუსეთში. საქართველოში დაბრუნების ნება მივეცი და მანამდე ვლადიმერ პუტინთან მქონდა კონსულტაცია. რუსეთის პრეზიდენტმა ხუმრობით „მწვანე შუქი“ აანთო. „ის კარგი კაცია“, – მითხრა მან. სააკაშვილისთვის ეს სერიოზული პრობლემა იქნება.**

– ნოემბერში პოლიციის მიერ დარბეულმა საპროტესტო აქციებმა რთულ მდგომარეობაში ხომ არ ჩააყენა ამერიკის ადმინისტრაცია?

**– საქართველოში შეერთებული შტატების მუშაობა ჩემი ხელისუფლების სათავეში ყოფნისას დაიწყო. ვაშინგტონი დავარწმუნე, რომ ჩვენს ქვეყანას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სტრატეგიულ დერეფანს, მას მერე ამერიკამ აქ თითქმის 2 მილიარდი დოლარი ინვესტიცია ჩადო, დიდ ფულს კი ტყუილად არავინ იხდის. თუმცა, შეერთებულ შტატებს არ მოუხდენია საქართველოში დემოკრატიის ექსპორტი. იგი მანამდეც არსებობდა, ვიდრე თეთრი სახლი კავკასიას შენიშნავდა. მაგრამ ამერიკა მიხვდა, რომ სწორი იყო თბილისის გზა, რომელსაც 1992 წლის მარტში მივეცი დასაბამი. ამერიკის სენატი ნოემბრის ამბებით უბრალოდ გაოცებული დარჩა. ეს დემოკრატიასთან შეუთავსებელი მოქმედება იყო.**

– რომელი მოქმედება? დემონსტრანტების დარბევა თუ „იმედის“ დახურვა?

**– არ ვიცი, ვინ გასცა ტელეარხის დახურვის ბრძანება, მაგრამ ეს ბარბაროსული აქტი იყო. „იმედი“ ერთადერთი ტელეარხი იყო, რომელიც დასავლეთის სტანდარტებს შეესაბამებოდა. ქუჩის პროტესტები ხალხის სასოწარკვეთილებამ, უმუშევრობამ და სიღატაკემ წარმოშვა. სააკაშვილის ყველაზე დიდი შეცდომა გახდა ის, რომ ადამიანებს არ შეხვდა, არ მოისურვა დემონსტრანტებთან ლაპარაკი.**

– იზიარებდით თუ არა ამ პროტესტს?

**– მე მესმოდა და მესმის პროტესტის პირველი მიზეზი. იგი თავად სიტუაციამ წარმოშვა.**

ლ. მაისი

Il Sole 24 ORE

# ღვინის დემოკრატია

ზოგჯერ ქართველები ღვინის დიდ დამფასებლებსაც აოცებენ თავიანთი სტუმართმოყვარეობით: ღამის ვიზიტები სრულიად უცნობ ადამიანებთან, მდიდრული სუფრები, მოულოდნელი მიპატიჟება ქუჩის კაფეში ჭიქა კონიაკის დასალევად.

ნუთუ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ესტონეთიდან ხარ ჩამოსული და მართლა ასე უყვართ ჩვენი ქვეყანა? არა. ქართველები უბრალოდ ასეთები არიან. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ომით გაჩანაგებული საქართველოს სტუმარმასპინძლობით მხოლოდ დასავლეთი კი არა, რუსეთიც ტკბებოდა. მაგრამ შევარდნაძის რეჟიმის დამხობის შემდეგ მოსკოვს აღარ მოეწონა ქართველების ხელგაშლილობა ამერიკელების, ბალტიისპირელებისა და სხვა მტრული ელემენტების მიმართ. ქართულ სუფრას რუსეთი გაეცალა და მისთვის განკუთვნილი ღვინო ახალი მეგობრების თასებში ჩაისხა.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ღვინის სმით საქმე არ შემოიფარგლა და საერთო ძალისხმევით მათ ბევრი რამ სასიკეთოც გააკეთეს. მაგრამ ქეიფის დროს არსებული კეთილგანწყობა გამორიცხავს თანამესუფრეთა ქცევაში ნაკლის შემჩნევას. ამისათვის ხომ ჯერ უნდა გამოფხიზლდე, გამოფხიზლებას კი მძიმე ნაბახუსევი განწყობა უძღვის წინ.

ნაბახუსევი განწყობა შემოდგომაზე დადგა, როცა სააკაშვილის რეჟიმის დაგროვილმა შეცდომებმა ხალხის მოთმინების ფიალა აავსო. ამ ფიალის შიგთავსი კი არც ისეთი ტკბილი და მათრობელა გამოდგა, როგორსაც დასავლეთის სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ მიჩვეულნი. გამოფხიზლებულმა დასავლეთმა დაიწყო სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების მოსმენა, რომლებმაც სცადეს აეხსნათ საქართველოში პოლიტიკური კრიზისის არსი.

ჯერ ერთი, სააკაშვილი მეტად გაიტაცა დასავლეთის ქვეყნებში თავისი მიღწევების

• არჩეული გზა ბევრად უფრო გრძელი გამოდგება, ვიდრე ეს ქართველ ხელმძღვანელებს წარმოედგინათ კრიზისამდე, რომელიც 2007 წლის ნოემბერში დაიწყო ოპოზიციის დემონსტრაციით, რასაც მათი დარბევა, საგანგებო მდგომარეობის შემოღება და ვადამდელი არჩევნები მოჰყვა

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საბჭოთა ჩვეულებებთან განშორების სიძნელეები

მიხეილ სააკაშვილის საქართველოს პრეზიდენტად არჩევა შესანიშნავად მოწმობს იმას, თუ როგორ უჭირთ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებს საბჭოთა წარსულის აღმოფხვრა. დადებითი ფაქტია ის, რომ სააკაშვილმა ხმების 52 პროცენტი მოაგროვა. მართალია ამ შედეგს ოპოზიცია აპროტესტებს, მაგრამ იგი უფრო მეტად ჰგავს ციფრებს, რომლებიც განვითარებულ დემოკრატიაში გვხვდება ხოლმე, ვიდრე ტოტალიტარული რეჟიმებისთვის ჩვეულ 96 პროცენტს, რომელიც იგივე სააკაშვილმა 2004 წელს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოაგროვა. ერთადერთი შეიძლება ვთქვათ: ბელადის ან გმირის კულტი შეცვალა მისი საქმიანობის უფრო სადა და არაერთგვაროვანმა შეფასებამ.

უარყოფითი ფაქტი კი ის არის, რომ არჩევნები მთლად სასურველ პირობებში არ მიმდინარეობდა, თუმცა ეუთომ ასეთი თავგამოდებით შეაქო. ჯერჯერობით არც საქართველოში, არც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში არ დანერგილა თავისუფალი, გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნების კულტურა.

მავნე ჩვევები ადვილი დასაძლევი როდია. ამ რეგიონში არჩევნები ყოველთვის განიხილებოდა არა როგორც ხელისუფლების შეცვლის უზრუნველყოფის მეთოდი, არამედ, როგორც ხერხი ხალხის რჩეულებად წარმოადგინონ ძალაუფლების მქონენი. ამიტომ ხელისუფალნი მუდამ ცდილობენ მოახდინონ საარჩევნო პროცესებით მანიპულირება, რისთვისაც სხვადასხვა ხერხს მიმართავენ – უხეშ ან გაქნილ ხერხებს სიტუაციის მიხედვით. ოპოზიცია ჯერ კიდევ არჩევნების გამართვამდე სადავოს ხდის მათ შედეგებს – ეს მისი მეთოდია. თითქმის ყველა პოლიტიკურ ბრძოლაში იყენებენ ულირს ხერხებს, მაგრამ ამ ქვეყნებში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მოშორების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა „კომპრომატი“, რომელსაც აგროვებენ ან თითხნიან უშიშროების სამსახურები. ის, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, მოწინააღმდეგე კი არა, გასანადგურებელი მტერია. ძალიან ხშირად ეს არის თავად ხელისუფალთა წრიდან გამოსული მოღალატე, რომელიც უკვე იმით არის საშიში, რომ ხელისუფალთა მავნე ჩვევებს იცნობს.

ბოლო ოთხ წელიწადში მიშა სააკაშვილის „დემოკრატიული“ საქართველოც ვერ აცდა ასეთ გადახრებს. ყოფილი პოლონელი დისიდენტი ადამ მიხნიკი, რომელიც ეუთომ თბილისში პრესის თავისუფლების დონის შეფასების მისიით გაგზავნა, დაიმუქრა კიდეც, რომ საქართველოს პრეზიდენტს ცენტრალური აზიის მთავრებს შეადარებდა.

საქართველო არც უზბეკეთია და არც ბელარუსი. სამი ყოფილი რესპუბლიკიდან, სადაც „ფერადი რევოლუციები“ მოხდა, მან ყველაზე უკეთ გაუძლო გამოცდას. ყირგიზეთში ისევ აზიური დესპოტიზმი გამეფდა. კიევში პრორუსულად და პროდასავლურად განწყობილი პოლიტიკოსები ვერა და ვერ ნახულობენ საერთო ენას. თბილისში მთავრობაც და ოპოზიციაც დასავლურ კურსს იწონებს, რომლის სიმბოლოც სააკაშვილია. ყველგან ფრიალებს ევროკავშირის ვარსკვლავებიანი ლურჯი დროშა და ნატოში შესვლა უპირველესი ამოცანაა.

მაგრამ არჩეული გზა ბევრად უფრო გრძელი გამოდგება, ვიდრე ეს ქართველ ხელმძღვანელებს წარმოედგინათ კრიზისამდე, რომელიც 2007 წლის ნოემბერში დაიწყო ოპოზიციის დემონსტრაციით, რასაც მათი დარბევა, საგანგებო მდგომარეობის შემოღება და ვადამდელი არჩევნები მოჰყვა. საქართველო ბელარუსი არ არის, თუმცა იგი არც პოლონეთია და არც უნგრეთი. 1990 წლების დამდეგს ცენტრალური და აღმოსავლეთის ქვეყნებს კომუნისტური წარსულის წარმატებით დაძლევაში ევროკავშირსა და ნატოში შესვლის მტკიცე პერსპექტივა დაეხმარა. ქართველებს კიდევ კარგა ხანს მოუწევთ ლოდინი, ვიდრე მათ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიიღებენ, ხოლო იმ მომენტამდე, როცა განსახილველად დადგება მუდმივი გაფართოებით „გაბერილ“ ევროსაბჭოსთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა, კიდევ უფრო მეტი ხანი გავა. და ეს ყველაფერი წარიმართება რუსეთის ფხიზელი მეთვალყურეობით, რომელიც მზად არის უმცირესი შეცდომითაც კი ისარგებლოს, რათა დაიბრუნოს დაკარგული ზეგავლენა.



დანიელ ვერნე

Le Monde.fr

---

რეკლამამ, იგი უგულებელყოფდა საკუთარი ხალხის ნებას და აღარ ხედავდა საჭიროებას განემარტა მისთვის რადიკალური რეფორმების არსი.

მეორე, ამ რეფორმებმა მძიმე დარტყმა მიაყენა ნაკლებად უზრუნველყოფილ თემებს, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სააკაშვილის საქმიანობით, რომელიც ოთხი წლის წინათ ელექტორატის 90-პროცენტიანი მხარდაჭერით გახდა პრეზიდენტი. კორუფციის მიზეზით სამუშაოდან დათხოვილი 10 ათასობით პოლიციელი, მებაჟე და სახელმწიფო მოხელე, რა თქმა უნდა, სააკაშვილის მეგობართა რიგებს ვერ შეემატებოდა.

მესამე, საქართველოში ჯერაც ძალიან ბევრს განსაზღვრავენ კონკრეტული პირები, ხოლო ინსტიტუტების როლი მეტად მცირეა. ქართველთა უმრავლესობისთვის ჯერაც სრულიად წარმოუდგენელია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. სიტყვის თავისუფლება იმ ფარგლებშია უზრუნველყოფილი, რომლებსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სხვადასხვა არხების მფლობელები განსაზღვრავენ.

თუმცა სააკაშვილმა, შევარდნაძისგან და აღმოსავლეთ ევროპის მრავალ სხვა ახალგაზრდა რეფორმატორისგან განსხვავებით, შეძლო ადრინდელ მომხრეთა მნიშვნელოვანი ნაწილის შენარჩუნება. არჩევნებმა გარკვეულწილად გამოაფხიზლა ადამიანები და ახლა შეიძლება ისევ ისიამოვნონ ღვინის სმით.

იგორ ტარო

Postimees

◎ ინფორმაცია

## გარდაიცვალა უხუცესი ქართველი ემიგრანტი

9 იანვარს საქართველოში 101 წლის ასაკში გარდაიცვალა ემიგრაციიდან დაბრუნებული XX ს-ის 20-იანი წლების ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენელი, მისი უხუცესი წევრი მიხეილ ქავთარაძე.

მიხეილ ქავთარაძე 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ 1927 წელს ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად წავიდა ემიგრაციაში. საფრანგეთში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის სპირიდონ კედიას გარდაცვალების შემდეგ მიხეილ ქავთარაძე თანამოაზრეებთან ერთად აქტიურად აგრძელებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მიხეილ ქავთარაძე მონაწილეობას ღებულობდა „ვერმახტის“ შემადგენლობაში მყოფი ქართული ლეგიონის „თამარ I“-ისა და „ბერგმანის“ საქმიანობაში, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს გათავისუფლება საბჭოეთის რეჟიმისაგან და ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის დაბრუნება. 50-იანი წლებიდან მოყოლებული მიხეილ ქავთარაძე იყო ჟურნალ „ივერიის“ უკანასკნელი რედაქტორი. არის ავტორი მრავალი პუბლიკაციისა და ცნობილი ავტობიოგრაფიული რომანისა „იანიჩარები“, რომელიც ზუსტად ასახავს იმ პერიოდის ქართველი პატრიოტების მოღვაწეობას საქართველოს ფარგლებს გარეთ. მისი ნაშრომები არის ფასდაუდებელი მასალა ამ ეპოქის მკვლევართათვის. 1991 წელს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია ოფიციალურად ესტუმრა საფრანგეთში მიხეილ ქავთარაძეს, რომელმაც ჭანტურიას გადმოსცა პარტიული რეგალიები. მიხეილ ქავთარაძე საქართველოში დაბრუნდა 2003 წელს და სიკვდილამდე ორი კვირით ადრე, 2007 წლის დეკემბერში გამოიცა მიხეილ ქავთარაძის კიდევ ერთი ბიოგრაფიული ნაშრომი „ცხოვრების 100 წელი“. მიხეილ ქავთარაძეს შაბათს 14 საათზე საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალავენ.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: თუ შეიძლება, გვაცნობეთ, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულის აღსანიშნავად უქმე დღედ 6 მაისია გამოცხადებული, 23 ნოემბერი თუ ორივე დღე?**

**დალი ბებიაშვილი**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, გიორგობის დღესასწაულის აღსანიშნავად უქმე დღედ გამოცხადებულია 23 ნოემბერი. თუმცა, 6 მაისიც გიორგობაა, მაგრამ იგი უქმე დღედ გამოცხადებული არ არის.

* * *

**კითხვა: მყავს 4 წლის ბავშვი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს ჩემს განსაკუთრებულ მზრუნველობას. გთხოვთ, მაცნობოთ, მეკუთვნის თუ არა უხელფასო შვებულება ბავშვის მოსავლელად და რომდემდე?**

**ლეილა ნიკურაძე**

**პასუხი:** დასაქმებულს თავისივე თხოვნით უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორი კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს 5 წელი შეუსრულდება.

* * *



**კითხვა: 2007 წლის 15 ნოემბერს პირადი განცხადების საფუძველზე გავთავისუფლდი სამუშაოდან. რამდენ დღეში უნდა გამისწოროს დაწესებულების ადმინისტრაციამ საბოლოო ანგარიში?**

**არსენ გოგუა**

**პასუხი:** შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულთან საბოლოო ანგარიშსწორება მოახდინოს არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, დამსაქმებელი იყო მუშაობის შეწყვეტის ინიციატორი, თუ დასაქმებული.

* * *

**კითხვა: ვარ 21 წლის, 4 თვის ორსული, მიჭირს იმ სამუშაოს შესრულება, რომელზედაც გაფორმებული მაქვს შრომითი ხელშეკრულება. მიმაჩნია, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ჩემი მომავალი შვილის ჯანმრთელობას. გთხოვთ, მაცნობოთ, ეკისრება ასეთ შემთხვევაში რაიმე ვალდებულება ჩემს დამსაქმებელს?**

**ბელა გიგაური**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, გვაცნობოთ, შეიძლება კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ყოფნა 20 დღის განმავლობაში, გახდეს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი?**

**ეკა ჭალაძე**

**პასუხი:** არა, არ შეიძლება. კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობაც წელიწადში არ აღემატება 30 კალენდარულ დღეს, შეიძლება გახდეს არა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის, არამედ შეჩერების საფუძველი.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

№ 5. პარასკევი, 11 იანვარი, 2008 წელი.

# მამულო, საყვარელო...

● შეხვედრების შემდეგ გადაწყდა, ბარსელონაში შეიქმნას ესპანურ-ქართული ურთიერთობების საზოგადოება



სტუმარ-მასპინძლები — მარჯვნიდან: ბალათერ არაბული, ჯონდო მეშველიანი, ოტია იოსელიანი, რეზო მეშველიანი, ვანო იბერი.

## ◎ შორიდან — ახლოს

**ბოლო წლებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, გაუსაძლისმა მდგომარეობამ, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ასი ათასობით ქართველი გადახვეწა უცხოეთში.**

**ცეცხლის ფასად, ვის როგორც შეუძლია, ნასესხები ფულით თუ საკუთარი სახლ-კარის გაყიდვით ნაშოვნი თანხით მიდიან ბედის საძებნელად... გაურკვეველი ბურუსითაა მოცული ეს გზა და არავინ იცის სად (სადამდე) მიიყვანს ის საქართველოდან გადახვეწილებს? რას მოუტანს — წარმატებას თუ ხელმოცარვას? სიხარულს თუ მწუხარებას?!**

**რამდენიმე ხნის წინათ ესპანეთსა და შვეიცარიას სტუმრობდა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობის საზოგადოება „მამულის" პრეზიდენტი, პოეტი ბალათერ არაბული, რომელიც იქ ქართველთა გაერთიანებების მიწვევით იმყოფებოდა.**

# სიზმრებში დანახული სამშობლო...

**ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა პოეტი ბალათერ არაბული**

— ჩვენი პროექტი მიზნად ისახავს უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან კონტაქტების დამყარებას, მათი ცხოვრების გაცნობას; ასევე, ვცდილობთ, კავშირი დავამყაროთ უცხოელ მწერლებთან და კულტურის მოღვაწეებთან, გავაცნოთ მათ ჩვენი კულტურა და საქართველოს მიმართ ინტერესი გავუღვივოთ...

ოქტომბრის მეორე ნახევარში მწერლების ჯგუფი, **ოტია იოსელიანი, გურამ ოდიშარია, ქეთი შენგელია, ვანო იბერი** და მე ესპანეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების ასოციაცია „იბერიის" მიწვევით ესპანეთში გავემგზავრეთ.

**— ბატონო ბალათერ, ესპანეთში როგორც ვიცით, საკმაოდ ბევრი ქართველია...**

— დიახ, ამ ქვეყანაში ბევრი ქართველი ცხოვრობს და მუშაობს; ესპანეთში მიიღეს კანონი, რომელიც მიგრანტებს იქ სამწლიანი ცხოვრების შემდეგ, ეგრეთ წოდებული გრინკარტის (ნახევრად მოქალაქეობაძ მიღების საშუალებას აძლევს, რაც თავისუფლად გადაადგილებისა და მუშაობის ერთგვარი გარანტია.

უნდა ითქვას, ადგილობრივი ხელისუფლება კეთილგანწყობას გამოხატავს უცხოელების მიმართ; მარტო შარშან და შარშანწინ 150000 ჩასულს მიანიჭეს ესპანეთის მოქალაქეობა...

მარტო ბარსელონაში 3000-ზე მეტი ქართველია. მათი უმრავლესობა სვანებია, რომლებიც ძირითადად მშენებლობაზე არიან დასაქმებულნი, ზოგიერთს კი უკვე საკუთარი სამშენებლო კომპანიაც აქვს ჩამოყალიბებული.

ესპანელები მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველების პროფესიულ შესაძლებლობებს და ამიტომ მათ მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობასაც ანდობენ; ასე რომ, ბარსელონაში და მის შემოგარენში ქართველების აშენებულ არაერთ ლამაზ ნაგებობას ნახავთ.

**— ბარსელონაში ქართული ეკლესიაც აუშენებიათ?..**

— ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მშენებლების და ბიზნესმენების ბესო და გივი ლიპარტელიანების, ჯონდო, რეზო და ჯეირან მეშველიანების ინიციატივით და ქართველების თანადგომით მართლაც გაიხსნა მშვენიერი ეკლესია, მისი მოძღვარია მამა ლუკა. ჩვენ ამ ეკლესიისთვის სიონში ნაკურთხი წმიდა გიორგის ხატი ჩავაბრძანეთ.

ეკლესიაში ყოველ შაბათ-კვირას იმართება წირვა-ლოცვა, ხოლო კვირის სხვა დღეებში — საღამოს ლოცვები. ქართულ ეკლესიას უკვე ჰყავს სამი ათასკაციანი მრევლი და მგალობელთა გუნდი. აქ მალე გაიხსნება საკვირაო სკოლაც, რაც მომავალი თაობისთვის დიდი შენაძენი იქნება...

მამა ლუკამ, რომელმაც კვირის წირვის შემდეგ ტრაპეზზე მიგვიწვია, ქართველთა ცხოვრების შესახებ ბევრი რამ გვიამბო; მოგვიყვა, თუ როგორ დაიწყეს ეკლესიის მშენებლობა, როგორი ენთუზიაზმით შეხვდნენ ქართველები ამ ამბავს... „აქ ყოველდღე, განსაკუთრებით კი შაბათ-კვირას, ათასობით ქართველი მოდის, მოჰყავთ ბავშვებიც; მათთვის ეს ეკლესია, ერთგვარად, სამშობლოს განასახიერებს... ის ხომ ჩვენს რწმენას, ქართულ ცნობიერებას, სულიერებას ემსახურება და ამიტომაც მის მიმართ საოცარ სიყვარულსა და მოკრძალებას გამოხატავენ; აქ ისინი ერთიმეორეს ხვდებიან, ეცნობიან, თავის ჭირსა და სიხარულს უზიარებენ ერთმანეთს. წირვა-ლოცვის შემდეგ კი სახლში გულდამშვიდებულები ბრუნდებიან იმ რწმენით, რომ უცხოეთის ცის ქვეშ მათი ცხოვრება იმედიანი და უფლისგან დაცული იქნება!.."

როგორც ჩვენთან საუბარში ბესო და გივი ლიპარტელიანებმა აღნიშნეს, ისინი უახლოეს მომავალში აპირებენ ერთ-ერთი უფუნქციოდ დარჩენილი ეკლესიისა და მისი ტერიტორიის შეძენას, სადაც ქართული ეკლესია და საქართველოს კულტურის ცენტრი განთავსდება. ამის თაობაზე მათ უკვე შეუტანიათ განცხადება ქალაქის ხელმძღვანელობასთან...

**— სხვა შეხვედრები თუ გქონდათ ბარსელონაში?**

— ბარსელონას ერთ-ერთ პრესტიჟულ ღამის კლუბში შეგვახვედრეს ესპანეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის გამოჩენილ ოსტატებს, მწერლებს, ხელოვნების წარმომადგენლებს; დარბაზში გამოაცხადეს, რომ საქართველოდან ჩამოსულ მწერლებს მასპინძლობდნენ... ჩვენი დელეგაციის წევრმა ქეთი შენგელიამ მათთან ერთად იცეკვა კიდეც და ტაშიც დაიმსახურა... ოტია იოსელიანმა და გურამ ოდიშარიამ კი ბესო ლიპარტელიანთან, ჯონდო და რეზო მეშველიანებთან ერთად სვანურ-მეგრული სიმღერა ჩუმად წამოიწყეს... ბოლოს მსოფლიოში ცნობილ ესპანელ მოცეკვავეებთან ფოტოც გადავიღეთ...



შეხვედრა ესპანელ მოცეკვავეებთან

ამ შეხვედრაზე ერთადერთ უხერხულობას კლუბის მენეჯერისგან ოტია იოსელიანისათვის მისი ცნობილი მუნდშტუკის დარბაზში თავისუფლად გამოყენების აკრძალვა ქმნიდა, რის გამოც ჩვენს მწერალს ხშირად უხდებოდა მოსაწევად გარეთ გასვლა... სტუმრად ვეწვიეთ ჯონდო და რეზო მეშველიანების ლამაზ ოჯახებს და ქართულად მოვილხინეთ. მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს მსოფლიოში სახელგანთქმული არქიტექტორის — გაუდის ბრწყინვალე ძეგლები; ვნახეთ მისი ცნობილი ტაძარი „საგრადა ფამილია"— „წმინდა ოჯახი", რომლის მშენებლობა, ამდენი ხნის შემდეგ, დასასრულს უახლოვდება. თვითონ გაუდი 1926 წელს 74 წლის ასაკში ტრამვაის გაუტანია და დასაფლავებულია საგრადა ფამილიაში. მისი უკვდავი ქმნილებები კი დღეს ასი ათასობით ტურისტს იზიდავს ბარსელონაში. ვნახეთ, აგრეთვე, გაუდის ცნობილი პარკი, რომელიც თავისი გადაწყვეტით და მოწყობით, ალბათ, საუკეთესოა მსოფლიოში. დავათვალიერეთ ქალაქის საოცარი ზღვისპირეთი, ბარსელონას ცნობილი ფეხბურთის სტადიონი, მთელი თავისი უდიდესი სპორტული კომპლექსით, — კალათბურთის, ჩოგბურთის, ბეისბოლის მოედნებით...

არ შემიძლია, აქვე არ გავიხსენო ერთი შეხედვით უცნაური ამბავი: ბარსელონაში ყოფნისას რამდენიმე მანქანის უკანა მინაზე შევნიშნე ვირის გამოსახულება და, სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, სად კატალონია და სად ვირი-მეთქი, მაგრამ, როგორც გავიგე, აქ ვირი თავდადებული შრომის სიმბოლო ყოფილა... ამით, თურმე, კატალონიელები მიანიშნებენ, ჩვენ ვირივით ამტანი და მშრომელი ხალხი ვართო!..

ბარსელონაშივე შევხვდით ესპანეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობების ასოციაცია „იბერიის" ერთ-ერთ ხელმძღვანელს ქეთი გორდელაძეს, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა მადრიდიდან...

უნდა ითქვას, ასოციაცია „იბერია" და ამჟამად მადრიდში სამეცნიერო მივლინებით მყოფი ქართველი მწერალი დათო ტურაშვილი ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებენ ესპანურ-ქართული კულტურულ-სამწერლო ურთიერთობების დასამყარებლად...

ასოციაცია „იბერიის" ეგიდით გამოდის ესპანურენოვანი ლიტერატურული ჟურნალი, ტარდება ლიტერატურულ-კულტურული შეხვედრები. დათო ტურაშვილი და მისი თანამოაზრეები ამ ჟურნალის საშუალებით ესპანელებს აცნობენ ქართული მწერლობის ნიმუშებს: როგორც ქეთი გორდელაძემ გვითხრა, ჟურნალის ერთ-ერთ ნომერს დაუთმობენ ჩვენი ჯგუფის წევრებს. აქვე გამოქვეყნდება ჩემი ლექსებიც ესპანეთში გამართული ევროპის ქვეყნების პოეზიის ფესტივალზე რამდენიმე წლის წინათ ესპანურ ენაზე გამოცემული ჩემი წიგნიდან.

შეხვედრების შემდეგ გადაწყდა, ბარსელონაში შეიქმნას ესპანურ-ქართული ურთიერთობების საზოგადოება, რომელსაც უხელმძღვანელებს ბარსელონაში მცხოვრები ახალგაზრდა პოეტი და ლიტერატორი გურანდა მეშველიანი და რომელიც კატალონიაში ქართული კულტურის პროპაგანდას შეუწყობს ხელს... დაიგეგმა სამომავლო შეხვედრები აქ მცხოვრებ მწერლებთან, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებთან. გაზაფხულზე დაგეგმილია შეხვედრები მადრიდშიც.

**— ბატონო ბალათერ, ესპანეთის შემდეგ თქვენ შვეიცარიაშიც იმოგზაურეთ!**

— დეკემბრის დასაწყისში შვეიცარიიდან, ქართველთა დამხმარე საზოგადოება „თანადგომისგან" მივიღეთ მიწვევა მსახიობმა ზურაბ ქაფიანიძემ, მომღერალმა ლელა თათარაიძემ და მე. ეს საზოგადოება ციურიხის ახლოს, ქალაქ შაფჰაუზენში დაარსდა. მისი თავმჯდომარეა შვეიცარიაში გათხოვილი ჩვენი თანამემამულე მწერალი და მთარგმნელი **ქეთი წიქორიძე-კრებსერი,** ხოლო მოადგილე **ნაილი ხოსიტაშვილი-დუარტე** და **სილვა მარმელო.** ჩვენი მასპინძლები, ქეთიც და ნაილიც ორივე მშვენიერი და ნიჭიერი ქალბატონია, მაგრამ ქართველი კაცების სამწუხაროდ უნდა ვთქვა, ერთს შვეიცარიელი ქმარი ჰყავს, მეორეს კი პორტუგალიელი; არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ „სიძეებმა" ცოლოურებს შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწიეს...

საზოგადოება „თანადგომამ" უკვე არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთა ქართველთათვის: ფინანსურად დაეხმარა თბილისის ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს, ხოლო მიუსაფარ მოხუცთა სახლ „სავანეს" შვეიცარიიდან ორმოცამდე ტელევიზორი ჩამოუტანა.

ორგანიზაცია კვლავაც გეგმავს საქველმოქმედო-კულტურულ ღონისძიებებს; ერთ-ერთ ასეთ პროექტში შედიოდა ჩვენი მიწვევაც... აეროპორტში დაგვხვდა ქეთი კრებსერი და ციურიხის ცენტრში სასტუმრო „როტჰაუზში" დაგვაბინავა.

მეორე დღეს კი ქალაქ შაფჰაუზენში გაიმართა გულთბილი შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ოჯახებთან ერთად პურმარილით მოვიდნენ შვეიცარიის სხვადასხვა ქალაქიდან...

შეხვედრაზე მეუღლესთან ერთად ჟენევიდან სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოს ელჩის მრჩეველი, ბატონი **მალხაზ კაკაბაძე.** აქვე იყვნენ ქართველი სტუდენტები ციურიხის უნივერსიტეტიდან და კონსერვატორიიდან, ჩვენი გარდაცვლილი მეგობრის, ცნობილი ჟურნალისტის თემურ მეტრეველის შვილის სულხან მეტრეველის მეთაურობით.

იხ. 14 გვ.

# სპორტი

● ახალი წლის წინა დღეებში საქართველოს რაგბის კავშირმა და კომპანია „კვარციტმა“ გააფორმეს ოთხწლიანი ხელშეკრულება, რომელიც ყოველწლიურად ქართული რაგბისადმი 500 ათასი ლარით დახმარებას გულისხმობს. ეს კი იმის გარანტია, რომ ბორჯღალოსნები ახალ სიმაღლეებს დაიპყრობენ



◉ ორბიტაზე

## მსოფლიო ჩემპიონი — სოსისების გამყიდველი?



**ყოფილი აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში, ბრიტანელი მოკრივე ლენოქს ლიუისი, არაერთი შეგონების მიუხედავად, უარს აცხადებს დიდ სპორტში დაბრუნებაზე და თავის ბოლო მეტოქესთან — უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან შეხვედრაზე.**

სამაგიეროდ, იგი უპირატესობას ანიჭებს სხვა სახის შეჯიბრებებს, სადაც ნოკაუტში თუ ნოკდაუნში ვერავინ „გაუშვებს“.

როგორც კანადურ გაზეთზე „ტორონტო სინზე“ დაყრდნობით იტყობინებიან, ამას წინათ კრივის დიდოსტატმა გამარჯვება მოიპოვა... ჰოტ-დოგებით ვაჭრობაში. ყველაზე მეტი სოსისი გაყიდა გუნდმა, რომელშიც ლიუისის გარდა იყვნენ პორნომსახიობი ჯინა ჯეიმსონი, როკ-ჯგუფის „კისსი“ გიტარისტი ჯონ სიმონსი და წესების გარეშე ბრძოლების ოსტატი ტიტო ორტისი. ამ მხიარულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მუსიკის, კინოსა და სპორტის სხვა ვარსკვლავებიც.

## ზიდანი „რეალში“ დაბრუნდა

**ასრულდა ფეხბურთის გულშემატკივართა დიდი ოცნება — სახელგანთქმული ფრანგი ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი, წინა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ესპანეთის სამეფო კლუბიდან რომ წავიდა, ისევ დაუბრუნდა „რეალს“.** ფრანგმა, დაპირებისამებრ, მუშაობა დაიწყო სუპერკლუბის ფეხბურთის სკოლაში. ის ავარჯიშებს უმცროსი ასაკის ბავშვთა ერთ-ერთ გუნდს. თუმცა ის თავის მუშაობაზე მოსაზრებების გაზიარებას არ ჩქარობს, ძველებურად გაურბის ჟურნალისტებს.

## მარადონა გაძარცვეს

**დიახ, ბოროტმოქმედებმა არ დაინდეს ლეგენდარული ფეხბურთელი დიეგო მარადონაც. მათ არგენტინელი ფეხბურთელის მოძრავი მუზეუმის კოლექციიდან მოიპარეს 600-ზე მეტი (!ძ, ექსპონატი.** მათ შორის 1986 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის ჯილდო, ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის „ოქროს ბუცი“, პელეს ნაჩუქარი ქამარი, აგრეთვე ფიდელ კასტროს“ საჩუქრები და სხვა ძვირფასეულობანი.

როგორც La Garetta dello Sport იტყობინება, ჯერჯერობით ეჭვი აქვთ იმპრესარიოზე, რომელსაც გამოფენა უნდა მოეწყო იტალიაში, მექსიკაში, გერმანიასა და არგენტინაში.

## ვიქტორია — უგემოვნოთა დედოფალი?

**წარუმატებლად დაიწყო 2008 წელი ვიქტორია ბექჰემისთვის. ავტორიტეტულმა კრიტიკოსმა რიჩარდ ბლეკველმა, 1960 წლიდან რომ ბეჭდავს ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმული ცნობილი ადამიანების რეიტინგს, ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის დევიდ ბექჰემის ცოლი წლევანდელ ჰიტ-პარადის სათავეში მოაქცია.**



„ვიქტორია საზოგადოებაში მუდამ თავს იწონებს მოკლე კაბით“, — ამბობს მოდური კრიტიკოსი. არ ვიცით, რა რეაქცია ჰქონდა ამაზე ვიქტორიას, რომელსაც თავი მოდისა და სტილის ალამდარად მიაჩნია. შემდეგ ადგილებზე მოდიან მომღერალი ემი უაინჰაუსი და მსახიობი შერი-კეიტ ოლსენი,უფრო უკან კი — მადონაც.

◉ ლაურეატი

**საქართველოს რაგბის კავშირმა განვლილი სეზონის შედეგები შარშან წლის მიწურულს შეაჯამა. საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ეროვნული ნაკრების გარემარბი ირაკლი მაჩხანელი, რომელსაც „სილქ როუდ ბანკმა“ 1000-ევროიანი დეპოზიტით„ოქროს ბარათი“ გადასცა. საგულისხმოა, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტულმა ჟურნალისტებმა მაჩხანელი 2007 წლის საუკეთესო ათლეტთა ათეულშიც დაასახელეს. ყოველივე ეს საფრანგეთის „მონ დე მარსანის“ 26 წლის მორაგბისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა.**

# სასეს რჩეული საქართველოში პირველია

— ტრავმირებული ვარ და იარებს ვიშუშებ, ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობამ ნება დამრთო, საახალწლოდ სამშობლოში ჩამოვსულიყავი, — მითხრა ირაკლიმ. — თბილისში კი თურმე სიურპრიზი მელოდა. აბა, 10 წლის წინათ რას წარმოვიდგენდი, სპორტში ასეთ სიმაღლეს თუ მივაღწევდი...

ირაკლი მაჩხანელმა 16 წლისამ დაიწყო რაგბში ვარჯიში. მანამდე კალათბურთით იყო გატაცებული და სკოლის ნაკრებშიც წამყვან მოთამაშედ ითვლებოდა. ყველას გაუკვირდა, ერთ მშვენიერ დღეს „პროფილი“ რომ შეიცვალა.

— ყველაფერი ჩემი თანაკლასელის — ავთანდილ დილმელაშვილის „ბრალია“, ღიმილით იხსენებს ირაკლი. — მან მთხოვა, ვარჯიშზე წავყოლოდი „დინამოს“ ბაზაზე. იქ კი მწვრთნელმა მიხეილ ჯვარიძემ შემაგულიანა. მეტიც არ მინდოდა. ჩემი გადაწყვეტილებით ოჯახის წევრებიც დავტოვე უკმაყოფილო. ერთ საღამოს ბებიამ მამაჩემს უთხრა — ეს ბავშვი ყოველდღე განსაცმელშემოხეული და დალურჯებული ბრუნდება შინ. ეტყობა, ბიჭებთან ჩხუბობს და, სანამ ტრაგედია არ დატრიალებულა, მიხედეო. დედაჩემი ჩემს თამაშს ტელევიზორშიც არ უყურებს, თორემ სტადიონზე მოსვლა ხომ ზედმეტია.

**— შენი სპორტული კარიერა როგორ წარიმართა?**

— ვარჯიში რამდენიმე თვის დაწყებული მქონდა, საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებში რომ მიმიწვიეს და უელსში მსოფლიო პირველობაზე ვიასპარეზე. ბიჭებს ასე გვეგონა, იქაუროზას მივლეწ-მოვლეწავდით, მაგრამ პირველსავე შეხვედრაში ირლანდიელმა თანატოლებმა ჩვენს ოცნებებს ცივი შხაპი გადაავლეს — დიდი ანგარიშით მოგვიგეს. მაშინ მივხვდი, რომ საერთაშორისო სარბიელზე წარმატების მისაღწევად მუხლჩაუხრელი გარჯა იყო საჭირო.



სპორტული კარიერა „დინამოში“ დავიწყე, მერე „აკადემიაში“ გადავინაცვლე. ეროვნულ ჩემპიონატებში რამდენჯერმე საუკეთესო მოთამაშისა და ბომბარდირის პრიზებიც დავიმსახურე, მაგრამ ჭაბუკობისდროინდელი მატჩებიდან ყველაზე მეტად კონსტანცაში რუმინეთის 21-წლამდელთა გუნდთან შეხვედრა დამამახსოვრდა — მსოფლიო პირველობის შესარჩევი პაექრობა სტუმრად კი დავთმეთ, მაგრამ იქ გავიტანე ჩემი პირველი საერთაშორისო ლელო. 1998-1999 წლებში კი კლოდ სორელმა საქართველოს „შვიდკაცაში“ მიმიწვია.

ირაკლი მაჩხანელს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი 2001 წელს ჰქონდა თბილისში ჰოლანდიელთა წინააღმდეგ. მაშინ ბორჯღალოსნებმა ტიტების ქვეყნის წარმომადგენლებს 88:0 მოუგეს. სტუმრების განადგურებას ბოლო ლელოთი ირაკლიმ დაუსვა წერტილი.

ახალგაზრდა მორაგბის სპორტულ კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა იყო. 2003 წელს ავსტრალიაში მან ოთხივე მატჩი ითამაშა, მათ შორის სამხრეთ აფრიკასთან და ურუგვაისთან — ძირითად შემადგენლობაში.

— მართალია, მწვანე კონტინენტზე ყველა პაექრობა დავთმეთ, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი, რადგან მაშინ ჩვენი ნაკრები მსოფლიოს 20 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა, რაც ბევრმა წამყვანმა სარაგბო ქვეყანამ ვერ შეძლო.

**— უცხოეთში როგორ აღმოჩნდი?**

— ავსტრალიის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს თურმე თვალს ადევნებდა ფრანგი მწვრთნელი ოლივიე საისე, რომელსაც მოსწონებია ჩემი თამაში... აზრი გოდერძი შველიძისთვისაც უკითხავს. საისე „ბეზიეს“ მწვრთნელად რომ დაინიშნა, მეც მიხმო. ორი წელიწადი ვიცავდი ამ გუნდის ღირსებას საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში. ორჯერ ვცადეთ უმაღლესში აღზევება, მაგრამ გადასასვლელი მატჩები წავაგეთ ჯერ „ალბისთან“, მერე კი — „დაქსისთან“.

**— იქაურობას კარგად შეეწყვე?**

— „ბეზიეში“ სხვადასხვა დროს გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანი, ვანო ნადირაძე, ილია ზედგენიძე, მევლუდ მთიულიშვილი და ბესიკ ხამაშურიძე გამოდიოდნენ. ასე რომ, იქაურები კარგად იცნობდნენ ქართველებსა და ქართულ ადათ-წესებს. ის კი არა, გუნდის წევრებმა ქართულად მკითხეს, ჭაჭა თუ ჩამოიტანეო...

თავიდან მაინც გამიჭირდა, რადგან ხელს მიშლიდა ენობრივი ბარიერი. თანაც „ბეზიეში“ სულ სხვა დისციპლინა და მოთხოვნები იყო, ვიდრე ქართულ გუნდებში. ის ხომ პროფესიული კლუბია.

**— ჭაჭა თუ ჩაუტანე თანაგუნდელებს?**

— აბა, ისე როგორ იქნებოდა. ყოველი მატჩის შემდეგ ბიჭებს მოლხენა უყვართ — მესამე ტაიმს ეძახიან. თუმცა, მე ნაკლებად ვეტანები ალკოჰოლურ სასმელებს, რადგან მეორე დღეს ცუდი „პახმელია“ ვიცი.

**— „ბეზიეს“ რატომ შეელიე?**

— შარშან ივლისში „მონ დე მარსანში“ უკეთესი პირობები შემომთავაზეს და, როგორც ჩვეულებრივ ხდება, მეც ამ გუნდში გადავედი. ისიც მეორე დივიზიონში თამაშობს. ამჟამად მე-2 ადგილზე ვართ. ტრავმის გამო კლუბს ერთი თვის განმავლობაში ვერ შევეშველები, სამწუხაროდ, ვერც ჩვენს ეროვნულ ნაკრებს დავეხმარები პორტუგალიასთან და რუმინელებთან დაპირისპირებისას.

**— საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზეც მინდა გკითხო...**

— ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა — დავით ჩავლეიშვილმა, მალხაზ ჭეიშვილმა და პაატა ნარიმანაშვილმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ერთსულოვანი, მეგობრული და საბრძოლველად შემართული კოლექტივი ჩამოეყალიბებინათ. ბორჯღალოსნებმა ხომ მსოფლიოს დაამახსოვრეს თავი. რომ არა გრანდებთან ორთაბრძოლის ერთგვარი კომპლექსი, თავისუფლად შეგვეძლო ირლანდიის დამარცხება. არადა, რა ახლოს ვიყავით გადამწყვეტ ლელოსთან. ცოტა მსაჯებმაც იძუნწეს — ბოლო ოცი წუთის განმავლობაში, კუნძულელთა უხეში თამაშის მიუხედავად, ერთხელაც არ დაუჯარიმებიათ.

ყოველივეს მიუხედავად, საქართველოს ნაკრებმა ჩემპიონატზე მაინც თქვა თავისი სიტყვა. სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტს შევძლებთ...

*ახალი წლის წინა დღეებში საქართველოს რაგბის კავშირმა და კომპანია „კვარციტმა“ გააფორმეს ოთხწლიანი ხელშეკრულება, რომელიც ყოველწლიურად ქართული რაგბისადმი 500 ათასი ლარით დახმარებას გულისხმობს. ეს კი იმის გარანტია, რომ ბორჯღალოსნები ახალ სიმაღლეებს დაიპყრობენ.*

**ვაჟა დანელია**

◉ ხელბურთი

## „ჩელენჯ ტროფით“ — ფანჯარა ევროპაში



**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებს დიდი ხანია მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ეტაპებზე არ უთამაშია. რამდენიმე თვის წინათ ევროპის ხელბურთის ფედერაციამ ჩვენი გუნდი „ჩელენჯ ტროფიზე“ დაუშვა. ქართველებმაც თავი არ შეირცხვინეს:** ალბათ, გახსოვთ, თბილისის სპორტის სასახლეში ზედიზედ სძლიეს სომეხ, აზერბაიჯანელ და მოლდოველ ხელბურთელებს, რითაც ფინალში ლუქსემბურგელებთან თამაშის უფლება მოიპოვეს. ეს შეხვედრა 20 იანვარს ნორვეგიის ქალაქ დრამენში გაიმართება.

◉ ძიუდო

## ოლიმპიური ჩემპიონებიც ჩამოვლენ

**თბილისის სპორტის სასახლე 26-27 იანვარს ძიუდოისტთა სალიცენზიო მსოფლიო თასს უმასპინძლებს. როგორც შევიტყვეთ, საქართველოს დედაქალაქში გუნდები უძლიერესი შემადგენლობებით ჩამოვლენ.** ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბევრ სახელოვან ფალავანს პეკინის 2008 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვს. ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ცნობით, თბილისში ჩამოსვლის სურვილი 40-მდე ქვეყანას აქვს დადასტურებული. მათ შორის — იაპონიას, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, ბრიტანეთს, ესპანეთს, უკრაინას. უკვე ცნობილია ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელთა ნაკრების შემადგენლობა: ტაკაში ოგავა (60კ, ოლიმპიური ჩემპიონი მასატო უჩიშიბა (66კ, მასატო ონაზავა (73კ, მასაპიტო ტომოუჩი (81კ, სეიკო საიტო (90კ, დაისუკე კობიაში (100კ, მსოფლიო პრიზიორი იოჰეი ტაკაი (100კ. უახლოეს დღეებში სხვა გუნდების შემადგენლობებსაც გაგაცნობთ.



# მამულო, საყვარელო...

● ვბრუნდებოდით უცხოეთიდან და ვფიქრობდით იმ თანამემამულეებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ავბედობის გამო საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ



ლელა თათარაიძე, ბალათერ არაბული, დემეტრე გამსახურდია და ნინო ბარდაველიძე

◉ შორიდან – ახლოს

**(მეთორმეტე გვერდიდან)**

სულხანი ამჟამად ციურიხის უნივერსიტეტში მუშაობს, სადოქტორო დისერტაციას ამზადებს და მამის სახელს ღირსეულად ატარებს. შეხვედრაზე იყვნენ საქართველოდან რამდენიმე წლის წინათ წასული მეცნიერები, რომლებიც აქ ცნობილ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში მუშაობენ: შვეიცარიაში მოღვაწეობენ ცნობილი ფიზიკოსი ატომური ენერგეტიკის დარგში, ერთ-ერთი სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი, პროფესორი ალექსანდრე მჭედლიშვილი, ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი გია მაჩაიძე, აგრეთვე, ფიზიკოსი გიორგი ბეჟიაშვილი და სხვები. აქვე შევხვდით კონსტანტინე გამსახურდიას შესანიშნავ ცოლშვილს, ნინო ბარდაველიძეს და დემეტრე გამსახურდიას (მეორე ვაჟმა, დიდი პაპის სეხნია ზვიადმა, სამწუხაროდ, მოსვლა ვერ შეძლო), რომლებიც შვეიცარიაში დიდი ხანია ცხოვრობენ...

ნინო ბარდაველიძე ციურიხში უკვე საკმაოდ ცნობილი მხატვარია და მისი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაც არაერთხელ გამართულა; ჩვენი იქ ყოფნის დროსაც ციურიხის მთავარ გალერეაში, ნინოს გამოფენა ეწყობოდა, სადაც ზოგიერთი მისი ნახატი 15000-20000 ფრანკად იყო შეფასებული, რაც შვეიცარიისთვისაც სოლიდური თანხაა. დემეტრე გამსახურდია შეხვედრაზე ქართული ჩოხით მოვიდა, მან მშვენივრად იმღერა „შავლეგო“, თან ქართველი და შვეიცარიელი ახალგაზრდებიც აიყოლია...

ერთობ გულთბილი საღამო გამოგვივიდა – ამგვარი შეხვედრების აუცილებლობაზე ვილაპარაკეთ ქეთი კრებსერმა, ნაილი ხოსიტაშვილმა, მალხაზ კაკაბაძემ, ალეკო მჭედლიშვილმა და მე.

სამშობლოს მონატრება გამოსჭვიოდა გენადი კეჟერაშვილის, იმედისმომცემი ახალგაზრდა მუსიკოსის ქეთი ჭეფხოძის, მაია პაპუაშვილის, ნინო ხუნდაძის, მაგდალინა დანოს, თ.სანიკიძის, რუსიკო და ალექსანდრე მჭედლიშვილების, გია მაჩაიძის, ია არაბიძის, როდნენ პატარა ქართველები, რომლებსაც ბედმა აქ დაბადება არგუნა და რომლებსაც სამშობლო მხოლოდ სიზმრებში თუ უნახავთ... მთელ ამ შეხვედრას ლამაზ ფონად გასდევდა ლელა თათარაიძის მიერ გარმონზე თუ ფანდურზე შესრულებული მშვენიერი სიმღერები და ქართული ლექსი, რაც ჩვენს თანამემამულეებს სამშობლოს მონატრების ტკივილზე ერთგვარ მალამოდ ედებოდათ და ბევრი ქართველის თვალზე მომდგარი ცრემლიც, ალბათ, სამშობლოს ნოსტალგიით იყო გამოწვეული... დავმხარდაჭერით, ციურიხში და შაფჰაუზენში ჩატარდეს ქართული პოეზიის და სიმღერის დღეები...

## სიზმრებში დანახული სამშობლო...

სულხან მეტრეველის, ნინო ბანცაძის, ხათუნა მჭედლიშვილის და სხვათა გამოსვლებსა და სადღეგრძელოებში. აქვე წაიკითხეს ციურიხში მცხოვრები პოეტი ქალის, სოფო ფოცხვერაშვილის ტკივილიანი ლექსები.

„ლალე, ლალე, დივლი-დალალე, ჩემო პატარა სამშობლოვ, შენ კი გენაცვალე“ – მღესახეთ სამომავლო გეგმებიც: ქეთი კრებსერის ლიტერატურულ ჟურნალში დაიბეჭდა ქართველი მწერლების ლექსები, მოთხრობები, თარგმანები, მოეწყობა შეხვედრები შვეიცარიელ მწერლებთან, მთარგმნელებთან; გადაწყდა მომავალი წლის 25-26 მაისს საზოგადოება „თანადგომის“ ეგიდითა და შვეიცარიაში საქართველოს საელჩოს

დავათვალიერეთ ევროპის ულამაზესი ქალაქების, ციურიხის და შაფჰაუზენის ღირსშესანიშნაობები. სტუმრად ვეწვიეთ ქალბატონ ქეთი კრებსერის ოჯახს, სადაც შესანიშნავი, მამაპაპური სუფრა გაგვიშალეს და ქართული სიმღერისა და ლექსის ზეიმი მოგვიწყვეს...

* * *

ვბრუნდებოდით უცხოეთიდან და ვფიქრობდით იმ თანამემამულეებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ავბედობის გამო საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ, მაგრამ ისინი კვლავაც სამშობლოზე ფიქრში ალამებენ და ათენებენ, და იქაც მისი ტკივილითა და სიხარულით ცხოვრობენ...

ბოლოს მინდა გავიხსენო კიდევ ერთი კარგი ეპიზოდი: მოხდა ისე, რომ ესპანეთშიც და შვეიცარიაშიც ჩვენი ფრენა სტამბოლის გავლა-გამოვლით, ტრანზიტით განხორციელდა. შვეიცარიიდან დაბრუნებისას თბილისში გამოფრენამდე, სტამბოლის აეროპორტში 7 საათი გვიწევდა მოცდა; მე და ლელა თათარაიძე ვბჭობდით, დრო როგორ გაგვეყვანა... ამ ფიქრში ვიყავით, რომ მშველელად ესპანეთიდან მომავალი ჩვენი მეგობარი, პოეტი დათო მაღრაძეც გამოჩნდა... უცხოეთში ერთმანეთის ნახვით ძალიან გავიხარეთ, ჩვენი შეხვედრისა და სამშობლოს სადღეგრძელო იქვე, კაფეში ვისკით დავლიეთ... შემდეგ დათომ სტამბოლში თავის ახლობელს, ბიზნესმენს რეზო ზანდუკელს დაურეკა: ლელა თათარაიძე და ბალათერ არაბული მომყავს, პურმარილი გაშალეო...

რეზო ზანდუკელის ლაზური წარმოშობის მშვენიერმა მეუღლემ და მისმა მეგობრებმა, მართლაც, ბრწყინვალე სუფრა დაგვახვედრეს... აქაც დაილია საქართველოს და მეგობრობის სადღეგრძელო, ხოლო ლელას სიმღერამ დიდი სიამოვნება მიანიჭა ჩვენს მასპინძლებს...

სტამბოლში მოულოდნელად ამგვარი გადახვევით და კიდევ ერთი ნაღდი ქართველის – რეზო ზანდუკელის გაცნობით ჩვენი მოგზაურობა უფრო გალამაზდა...

აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო გერმანიისა და შვეიცარიის საელჩოებს და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის ასოციაციის თავმჯდომარეს, ბატონ **კახა ბარათაშვილს,** რომლებმაც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოგვიგვარეს ესპანეთსა და შვეიცარიაში გამგზავრება. ასევე მადლობას ვუხდით ფირმა „ბადაგონის“ ხელმძღვანელებს, რომელთა მიერ მოძღვნილი შესანიშნავი ღვინით ვუმასპინძლდებოდით როგორც ჩვენს თანამემამულეებს, ისე ესპანელებსა და შვეიცარიელებს...

**– გმადლობთ, ბატონო ბალათერ, საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებებს.**

ესაუბრა
**შორენა პირველი**



ბალათერ არაბული ციურიხის უნივერსიტეტის და კონსერვატორიის სტუდენტებთან

№ 5. პარასკევი, 11 იანვარი, 2008 წელი.



## სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველო აცხადებს სპეციალურ აუქციონს

| მიწის ნაკვეთის აუქციონზე გატანის რიგითობა | მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა | მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი | მიწის ნაკვეთის ფართობი (ჰა) | მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონება | მიწის ნაკვეთის ხარისხობრივი მონაცემები (მწირი, კარგი) | მიწის ნაკვეთის სამართლებრივი მდგომარეობა | მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე“ (30%)ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| №1 | ადმინისტრაციული ერთეული საგურამოს ტერიტორიული ორგანო სოფ.საგურამო | 720612125 | 3,8 | არ არის | კარგი | სახ-ფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სას. სამ. დანიშნულების მიწა | 297 | 89 |
| №2 | ადმინისტრაციული ერთეული საგურამოს ტერიტორიული ორგანო სოფ.საგურამო | 720612303 | 3,8 | არ არის | კარგი | სახ-ფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სას. სამ. დანიშნულების მიწა | 297 | 89 |
| №3 | ადმინისტრაციული ერთეული საგურამოს ტერიტორიული ორგანო სოფ.საგურამო | 720612302 | 4,38 | არ არის | კარგი | სახ-ფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სას. სამ. დანიშნულების მიწა | 342 | 103 |
| №4 | ადმინისტრაციული ერთეული საგურამოს ტერიტორიული ორგანო სოფ.საგურამო | 720612315 | 1,3 | არ არის | კარგი | სახ-ფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სას. სამ. დანიშნულების მიწა | 102 | 31 |

**სპეციალურ აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ: ადმინისტრაციული ერთეული – საგურამოს ტერიტორიული ორგანოს საკომლო წიგნში აღრიცხულ ან/და პირადობის მოწმობის საფუძველზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს.**

სპეციალურ აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა დასტურდება აუქციონში გამარჯვებულის ოქმის დაუყოვნებლივ გაცემით, ხოლო ოქმის გაცემიდან ერთი თვის ვადაში გამარჯვებული იხდის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების საფასურს, ან საფასურის სულ მცირე 20 პროცენტს.

აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ ეთვლება მიწის ნაკვეთის საფასურის გადახდისას.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა ინფორმაციის გაზეთში გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში საუქციონო კომისიას უნდა წარუდგინონ:

აძ განცხადება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე, რომელშიც უნდა აღინიშნოს განმცხადებლის თანხმობა აუქციონის წესებისა და პირობების მიმართ.

ბძ განმცხადებლის ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ასლები.

გძ წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთის არსებობის შესახებ.

დძ ბე-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, „ბე“-ს თანხა ირიცხება შემდეგ ანგარიშზე: 302003000.

განცხადების მიღება შეწყდება ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან 30-ე კალენდარულ დღეს 15 საათზე.

აუქციონი ჩატარდება იმავე დღეს 15 საათსა და 30 წუთზე.

იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

**მისამართი: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №51 (ყოფილი კონტროლის პალატის შენობაძ.**



◉ სანთელი

# სხვა პეწი ჰქონდა...

## გუშინ ვერის სასაფლაოზე გურამ ლორთქიფანიძე დაკრძალეს

ამ ქვეყანაზე შემთხვევითი არაფერი არ უნდა იყოს – ასე მგონია. ლორთქია რომ ზედ მელიქიშვილზე, სწორედ ტროტუარიდან შეწეულ, გამორჩეულ ლამაზ აივნებიან,



ორსართულიან სახლში ცხოვრობდა – არც ეს იყო შემთხვევითობა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. აბა, სხვაგან სად წარმოგიდგენიათ მისი ცხოვრება? მისი სამყოფელი სადმე მიხვეულ-მოხვეულ ადგილას არ შეიძლებოდა: მხარმარჯვნივ – უნივერსიტეტი, მხარმარცხნივ – რუსთაველი და სხვა ყოველი სიკეთე.

დილიდან შეეხმიანებოდა ტელეფონით ყველას, მოიკითხავდა ახლობლებს, მეგობრების კარგად ყოფნაში დარწმუნდებოდა. კმაყოფილი იწყებდა დღეს, რომ თავისი სიკეთე, ყურადღება, სიყვარული, ჩვენთვის გადმოენაწილებინა. ეს მისი ქველმოქმედება იყო, ლამაზი და საჭირო.

– მამამისის შვილი სხვაგვარი არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ გურამი მაინც ნამეტანი იყო. თუ შეიძლება კაცზე ითქვას, მე ვიტყვი – ნამდვილი ანტიდეპრესანტი იყო; სიხალისის და ოპტიმიზმის აკუმულატორი. სიცოცხლის სიყვარული და კაცთმოყვარეობა მისი ულვაშის გაცმაცუნებაში, ჩაღიმებაში, თვალის ჩაჭუტვაში ჩანდა.

– გამორჩეულად კოლორიტული გარეგნობა მისი ბუნების გამორჩეულობას უხდებოდა. არავის არ შეეძლო კირისფერი პალტოს ისე ტარება – როგორც ლორთქიას. ვერავინ ვერ გაბედავდა ისეთი ჭრელი შარფის ისე ელეგანტურად, თან – დაუდევრად გამოფსკვნას და მხარზე გადაგდებას – როგორც ლორთქია. მსუბუქი, ოდნავ მოცეკვავე სიარული ღიღინით და ღიმილიანი სახით – მხოლოდ მას უხდებოდა.

– ჩემში კი – ის გასკონელი, გალარიბებული აზნაურის (თუნდაც – დარტანიანისძ ასოციაციას იწვევდა თავისი გარეგნობით, ერთი მხრივ, და ზემო იმერელი აზნაურის – მეორე მხრივ. თვითონ როგორ უხაროდა კარგი სიტყვა, კარგი ლექსი, კარგი სიმღერა. პეწი ჰქონდა თვითონაც და სხვისი პეწის შემჩნევაც შეეძლო. გადამდები სიხალისე ჰქონდა. ამ სიცოცხლით სავსე კაცზე ვინ იტყოდა – გული თუ უმტყუნებდა ოდესმე? მაგრამ, ეტყობა, ვერ გასწვდა ეს გული მის სამეგობრო-სანათესაო-სამოკეთოს.

– გურამის წასვლით გულისწყვეტამ სამუდამოდ დაამტკიცა, რომ – არა თანამდებობა, არა სკამი, არა წოდება – არ ქმნის პიროვნების სახელსა და ღირსებას.

– გაცემულ სიკეთეს – სიკეთით უბრუნებდა, სიყვარულს – სიყვარულითა და პატივით.

– კიდევ დიდხანს გაიხსენებენ ამ სახლის წინ ჩავლილი თბილისელები და იტყვიან: აქ ლორთქია ცხოვრობდა!

– თბილისს კიდევ ერთი დიდებული კაცი დააკლდა.

**თამილა მაკარიძე**

ხსოვნა

# დღესაც შენთვის ვილოცებთ



მართალი არ ყოფილა თქმა – კაცი თვალს რომ მოსცილდება, გულსაც გადაავიწყდებაო. თითქმის ცხრა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც, მიზეზთა გამო, საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადახვედი საცხოვრებლად ოჯახთან ერთად, ჩემო ძვირფასო კოტე, მაგრამ ერთხელაც არ ყოფილა შენი მეგობრების თავშეყრა ისე, რომ შენზე და შენს ჯალაბობაზე არ გვესაუბროს, თქვენი სადღეგრძელო არ შეგვესვას ჩემო კოტე არობელიძევ. თითქმის ცხრა წელიმეთქი, წელან ვთქვი და ეს იმიტომ გავიხსენე, რომ ამ ხნის მანძილზე თითქოს რამდენადმე მაინც უნდა მინავლებულიყო ერთმანეთის ყოველ დღეს – ყოველ ცისმარე დღეს! – ნახვის, ჩახუტების, საუბრის, კამათის – ზოგჯერ ზომაზე ცხარესიც კი! – დაუოკებელი სურვილი, ერთად პურის ჭამის წადილი. მაგრამ, არა, პირიქით მოხდა – იშვიათად თუ გავიდოდა დღე ისე, რომ რამდენჯერმე არ გამხსენებოდი, თუნდაც სულ მარტო ვყოფილიყავი, არ მეფიქროს იმაზე, თუ როგორი იქნებოდა ჩვენი შეხვედრა, რომლამდე დარჩენილი დროის ათვლას ყოველი ახალი წლის დადგომისთანავე საგულდაგულოდ ვიწყებდი ხოლმე... შენთან სატელეფონო საუბრები კი თვეობით მასაზრდოებდა და გულს შიგნიდან მითბობდა.

მაინც არ დაგვცალდა ამქვეყნად კიდევ ერთხელ შეხვედრა, თუმცა სანდროსთან და ნინიკოსთან ერთად თურქეთს რომ მიდიოდი ამერიკას მიმავალი, გაზაფხულის იმ თბილ ღამეს შენი დანაბარები კარგად დამამახსოვრდა – აბა, თქვენ იცით, რომ ჩამოვალ, ყველანი სალ-სალამათნი დამხვდით, თორემ, იცოდეთ, დედას გიტირებთო...

არ დაგვცალდა, არ ყოფილა, თურმე ამის უზენაესი ნება...

ბოლოს რომ ავადმყოფობდი, გულს გვიხეთქავდა ეს ამბავი შენს მეგობრებს, მაგრამ თავად ყინჩად რომ გეჭირა თავი და ოკეანის გაღმიდან აქეთ რომ გვამხნევებდი, ჩვენც იმედიანად ვიყავით, მაგრამ... ამაოდ, როგორც აღმოჩნდა.

თავზარი დაგვცა შენმა უდროოდ წასვლამ ამქვეყნიდან, ერთად შეგვყარა ყველანი და ცხარე ცრემლითაც გვატირა. დღეს კი უკვე ორმოცი დღისთავზე ვახსენებთ შენს ლამაზ, სპეტაკ და ერთგულ სულს და კვლავაც მომავალი შეხვედრის იმედით ვილოცებთ შენი მეგობრები.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ინფორმაცია

### „ქართველი სომხები“ ერევანში სცემეს

**როგორც ქალაქის პოლიციის სამმართველოში აცხადებენ, მათ საავადმყოფოდან მიიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ სამკურნალო დაწესებულებაში თავის ტრავმით 2 ადამიანი მოათავსეს.**

როგორც გაირკვა დაშავებულებს შელაპარაკება მოუვიდათ ადგილობრივი ახალგაზრდების ჯგუფთან.

ახალგაზრდებმა საქართველოს მოქალაქეებს რკინის მილით მიაყენეს ტრავმა.

დაშავებულები სომეხი ეროვნების მოქალაქეები არიან, რომლებიც ერევანში ნათესავების მოსანახულებლად იმყოფებოდნენ.

### ხუთწლიანი ძებნის შემდეგ დააკავეს

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მარნეულის ტერიტორიულ სამსახურში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხულიგნობისთვის ძებნილი 27 წლის გაბილ ა. დააკავეს.**

გაბილ ა.-მ მარნეულის ტერიტორიულ სამსახურს პირადობის მოწმობის აღების მიზნით მიმართა და თან წარადგინა დაჩქარებული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამისამართო-საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში მონაცემების გადამოწმებისას გაირკვა, რომ გაბილ ა. 2003 წლიდან იძებნებოდა.

საბუთების შეტანიდან მესამე სამუშაო დღეს მარნეულის ტერიტორიულ სამსახურში პირადობის ასაღებად მისული გაბილ ა. შს სამინისტროს მარნეულის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ პირშეუკრავი იარა

# ვაგლახ, რომ არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი!



## გიო მხეიძის მონატრება

გიო, ჩემო გაუნელებელო ტკივილო და მარადიულო სევდავ!

დღეს უბედური დედაშენი, შენი თამრო ჩამოვიდა ამერიკიდან. 11 წელიწადია, შენი საფლავი არ უნახავს. 11 წელიწადია, ტანჯავს იმ შორეულ ამერიკაში შენი მონატრება, ცრემლი არ შეშრობია, მაგრამ ისევ ისეთი ლამაზი დედიკო მოვა შენს სამარესთან, როგორიც თავს გევლებოდა უკურნებელი სენით შეპყრობილს, მაგრამ...

ზეციური საქართველოდან, ლაჟვარდის ფერი სამოთხიდან დაგვინახავ მე და დედაშენს, შენს საყვარელ ძამიკოს შენს სამარესთან მდუმარედ მგლოვიარეებს, ანუ იმათ, ვისთვისაც დრო მწუხარებას ვერ ანელებს. პირიქით, ბიჭო! რაც დრო გადის, სულ უფრო გვთანგავს შენი მონატრების სევდა.

**უბედური მამაშენი – შენი დათო**

### განცხადება

სააქციო საზოგადოება „მშენებელი-96“-ის მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ. სს „მშენებელი-96“-ის სამეთვალყურეო საბჭო იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც ჩატარდება 2008 წლის 31 იანვარს 12 საათზე, ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16-ში, VIII სართულზე.

**დღის წესრიგი:**

აქციონერ ნოდარ ხარაბაძის წილის შესაბამისად, საზოგადოების ქონებიდან კონკრეტული 16 კვ. მ. ფართის მიკუთვნების და განკარგვის შესახებ.

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**
**ნ. ხარაბაძე**

ედუარდ შევარდნაძე თანაგრძნობას უცხადებს მაია და გია ცაცანაშვილებს დედის, ქალბატონ

გულნაზის

გარდაცვალების გამო.

---

დავით ჯაბიძე და ანა პარკაძე თავისი ოჯახით სამძიმარს უცხადებენ მანანა ჩაჩანიძესა და მის ოჯახს ძვირფასი მეუღლისა და შესანიშნავი იურისტის

ამირან ბარბაქაძის

მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

---

ლევან კიკვიძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გურამ ებანოიძეს ძმის

დათოს

გარდაცვალების გამო.

---

მიხეილ ოსაძე და ვახტანგ კიკნაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ლაურ და ნოდარ მანაგაძეებს ძმის

ვასიკო მანაგაძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები თანაუგრძნობენ სარკინიგზო ფაკულტეტის წამყვან სპეციალისტს იზოლდა ჭეიშვილს ძმის

გიორგი გარაყანიძის

გარდაცვალების გამო.

### განცხადება

**ხორციელდება ამერიკული კომპანიის „ბეხტელ ინტერნეიშენალ ინკ.“-ის საქართველოში წარმომადგენლობის (რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 2001 წლის 5 ნოემბერს, რეგისტრაციის №5/8-176ძ ლიკვიდაცია.**

დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ შემდეგ კოორდინატებზე: ქ.თბილისი. მარჯანიშვილის ქ.№6. მწვანე შენობა, ტელ: 24 30 30; 24 30 31.

# ბოლო გვერდი

ქურდი ეკლესიაში ღამით დარჩა, რადგან კარი შიგნიდან იყო გატეხილი. ეკლესიას ბოლო პერიოდში დარაჯი არ ჰყავდა



მელსაც ძველი თბილისის რაიონის კრიმინალური პოლიციის სამმართველო იძიებს.

**კავშირგაბმულობა**

## რა დაგვიჯდება ტელეფონით ლაპარაკი ხვალ?



**ჯერ კიდევ შარშან სს „საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ“ სატელეფონო აბონენტებს, კერძოდ, ფიზიკურ პირებს, მომსახურების რამდენიმე ახალი პაკეტი შესთავაზა, რომლებიც ფასით და შეღავათების პირობებით საკმაოდ განსხვავდებოდა.** სურვილისდა მიხედვით აბონენტს 1-ლი დეკემბრიდან თებერვლის დამლევამდე მისთვის სასურველი პაკეტი უნდა შეერჩია, თუმცა თუკი ახალი შეთავაზება რაღაც მიზეზით თვალთ არ მოუვიდოდა, მაშინ ძველებურად 4-ლარიანი სააბონენტო გადასახადის რეჟიმით განაგრძობდა საქალაქო ტელეფონით სარგებლობას.

„გაერთიანებული ტელეკომის“ მიერ მომხმარებელთათვის შეთავაზებული პაკეტების შესახებ დაწვრილებითი მონაცემები რედაქციას ხელთ აქვს, თუმცა მკითხველთათვის მათი შინაარსის გაცნობას იმის გამო არ ვჩქარობთ, რომ როგორც კომპანიაში განაცხადეს, მიზეზთა გამო მათი ამოქმედება გარკვეული ხნით გადაიდო. სავარაუდოდ, მომხმარებლებს (როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე ორგანიზაცია-დაწესებულებებს) „გაერთიანებული ტელეკომი“ ახლო მომავალში შესთავაზებს, რის შესახებ მკითხველებს აუცილებლად ვაცნობებთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია**

## ჯონდი ბაღათურიას ძმა გაათავისუფლეს

**გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ „ქართული დასის“ ლიდერის ჯონდი ბაღათურიას ძმა ალკაზარ ბაღათურია წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა.**

ალკაზარ ბაღათურიას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა 8 იანვარს შეეფარდა.

ბაღათურია საპატრულო პოლიციამ სისხლის სამართლის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის — სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით დააკავა. აღნიშნული მუხლი ჯარიმას ან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდების თანახმად ბაღათურიამ 5 იანვარს საარჩევნო უბანზე მობილური ტელეფონი დაუზიანა ერთ-ერთ პიროვნებას.

## გაქურდეს სამების ეკლესია

**თბილისში ფურცელძის ქუჩაზე მდებარე სამების ეკლესია გაქურდეს. ეკლესიიდან შემოწირულობის თანხაა წაღებული.**

როგორც აღმოჩნდა, სიწმინდეები მოპარული არ არის, თუმცა, დაზიანებულია მარგალიტებით შემკული სამების ხატი. როგორც ეკლესიაში აღნიშნავენ, ქურდები მარგალიტის მძივის წაღებას ცდილობდნენ.

წინასწარი ინფორმაციით, ქურდი ეკლესიაში ღამით დარჩა, რადგან კარი შიგნიდან იყო გატეხილი. ეკლესიას ბოლო პერიოდში დარაჯი არ ჰყავდა.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ძველი თბილისის რაიონის კრიმინალური პოლიციის სამმართველო იძიებს.

## მერს „თოჯინები“ არ ნაყვარება?

**ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრის ყოფილმა მსახიობმა ანა ასათიანმა სამსახურიდან გათავისუფლება გააპროტესტა და პრესკონფერენცია გამართა.**

ასათიანის თქმით, სამსახურიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ ქუთაისის მერთან ნუგზარ შამუგიასთან თეატრში გამართულ შეხვედრაზე უკეთესი პირობები მოითხოვა.

თოჯინების თეატრის მმართველი ია იაშვილი ასათიანის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად ხელშეკრულების ვადის ამოწურვას ასახელებს. ასათიანის თქმით, კი მასთან პირად საუბრებში ია იაშვილი აცხადებდა, რომ თეატრიდან იმის გამო დაითხოვა, რომ ქალაქის მერთან უჩივლა.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**ინფორმაცია**

## გაზის მიწოდება აღდგება

**მეორე დღეა წყალტუბოს მოსახლეობის ნაწილს ბუნებრივი გაზი არ მიეწოდება. გუშინ დაიწყო სერაბილიტაციო სამუშაოები, გაზის მიწოდება მოსახლეობას ჯერ არ აღდგენია.**



გაზის მილი ახალი წლის დღეებში დაზიანდა, თუმცა შპს „წყალტუბოგაზის“ წარმომადგენლებმა მოსახლეობას გაზის მიწოდება დღესასწაულთან დაკავშირებით არ შეუწყვიტეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**გვემრავლოს!**

## შობა-ახალწლის საჩუქარი



**რიტა ჩაკვეტაძე და მისი მეუღლე ლევან ყურაშვილი აფხაზეთიდან დევნილები არიან. თბილისში დაოჯახდნენ და სამი წლის ბიჭი საბა ჰყავთ.** ნატრობდნენ გოგონას და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში რიტას შობა-ახალწელს გოგონა შეეძინა, რომელსაც კესო დაარქვეს. საპატრიარქოს მიერ დაპირებულ დახმარებაზე განცხადება უკვე დააწერინეს და მალე მიიღებენ კიდეც. შვილის შეძენით გამოწვეული სიხარული არ მოშლოდეთ ყურაშვილების ოჯახს.

სამშობიარო სახლებს მელოგინეთა სიმრავლე ვუსურვოთ, ჩვილთა მშობლებს კი დიდ სიხარულს ვულოცავთ...

**ნათელა ფაილოძე**


რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“

კოსტავას 12

98-65-87; 899 32-85-76.


**ანეკდოტები**

ღრმად მოხუცებულმა მიხომ ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო. ჟურნალისტებმა მას თავისი განცდების გაზიარებას სთხოვენ.

— აბა, რა გითხრათ... ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ახლა უკვე დიდი და მოსიყვარულე ოჯახი მყავს.

* * *

თუ მამაკაცი ტყეში რამეს იტყვის ისე, რომ მას არც ერთი ქალი არ მოისმენს, იგი მაინც მტყუანი იქნება?



* * *

ოფლად გაღვრილი ქალი ღამით საწოლიდან წამოვარდება.

— რა მოგივიდა, ძვირფასო? — ეკითხება შეშფოთებული ქმარი.

— დამესიზმრა, თითქოს უფეხო ზანგის ბიჭუნა შეგვეძინა.

— დაწყნარდი, ეს უბრალოდ სიზმარია.

ასე გაგრძელდა მთელი კვირის განმავლობაში.

ბოლოს მშობიარობის დროც დადგა. ცოლი შეძრწუნებული ხმით ურეკავს ქმარს, რომ მან მართლაც ზანგის ბიჭი დაბადა.

— მართლა უფეხოა?

— არა, ფეხები აქვს.

— ჰოდა, მადლობა ღმერთს!

* * *

შუა საუკუნეებია. საომრად მიმავალი ქმარი ცოლს ერთგულების ქამარს უკეთებს.

— რად გაუკეთე ქამარი? — ეკითხება გზაში მასხარა, — შენი ცოლი ხომ ისეთი მახინჯია, მაინც არავინ გაეკარებოდა.

— ვიცი. როდესაც დავბრუნდები, ვეტყვი, რომ გასაღები დამეკარგა.

* * *

— რა არის მთავარი ქალის სილამაზეში?

— პირი.

— უფრო ზუსტად რა — პირის ფორმა, ფერი თუ სიდიდე?

— მთავარია, იგი მოკეტილი იყოს.

**კადრი**




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.